ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმომწერთა ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 , დაწესებულებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხადება მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

სამშაბათი, 6 იანვარი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 4 (1159)

დღიური

— ბალკანეთზე მძვინვარებს საშინელი ტერორი.

— ავსტრიის პოლიციამ დააპატიმრა გერმანიის კომპარტიის ერთი ბელადთაგანი—რუტ ფიშერი, რომელიც შემდეგში იქნა განთავისუფლებული.

— პოლონეთში პარტიზანებს კვლავ ჰქონდათ შეტაკება ჟანდარმერიასთან.

— იტალიის ფაშისტურმა მთავრობამ შეიმუშავა მთელი რიგი ზომებისა ოპოზიციური ელემენტების წინააღმდეგ.

— ლენინგრადში კვლავ ადგილი ჰქონდა წყალდიდობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავად

რუსეთის კომპარტიის ცეკას ცირკულიარი

მოსკოვი. 4 იანვარი 1925 წ. 21 იანვარს სრულდება ვლადიმირ ილიჩი ლენინის გარდაცვალების წლის თავი. ამის გამო 18—25 იანვრამდე საჭიროა ჩატარდეს ფართო სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა როგორც პარტიის შიგნით, ისე მშრომელთა ფართო მასებს შორის. ამ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს პარტიის მნიშვნელოვანი ამოცანები დღევანდელ მომენტში: რუსეთის კომპარტიის რიგების მაქსიმალური შემჭიდროება ლენინიზმის დროშის ქვეშ და ლენინიზმის ხაზიდან ყოველგვარი გადახრის გაბედულად უარყოფა, მუშათა მასების კიდევ უფრო გაერთიანება პარტიის გარშემო, მრეწველობის აღორძინება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცება, სოფლად პარტიულ მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება.

მზადება საჭიროა დაიწყოს ამ კამპანიის საკითხების დამუშავებით აგიტატორების კოლექტივებში, წრეებში, პარტსკოლებში, აგიტაცია პროპაგანდის ორგანიზატორთა თათბირებზე, იმ მიზნით, რათა ზედმიწევნით იქნან მომზადებული ყველა ამხანაგები, რომლებსაც დაევალება სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ჩატარება ამ დღეებში.

სასურველია პარტ-უჯრედებში ჩატარებული იქნას ერთი-ორი ღია კრება ლენინიზმის მთავარ საკითხების განსახილველად; მუშების და გლეხებს შორის მოეწყოს მასსიური კრებები და ლენინის ხსოვნის საპატივცემლო საღამოები, მოეწყოს, სადაც ამისათვის ნიადაგი მომზადებულია, კომკავშირის წევრთა და კანდიდატების გადარიცხვა პარტიაში, ხოლო პიონერებისა – ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირში.

საჭიროა ამ დღეებში მოეწყოს, სადაც ეს შესაძლებელია: კლუბების, ქოხ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების, საბავშვო სახლების, ბაგების, სასადილოების, ლენინის კუთხეების, წარმოების კუთხეების გახსნა, სკოლების, წრეების გამოშვება და სხვა. დეკონსტრაციების გამართვა საჭირო არ არის.

ადგილობრივ წლის თავის ჩასატარებლად სამეურნეო და სამაზრო კომიტეტებთან მოეწყოს სპეციალური კომისიები პარტიულ ორგანიზაციების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით.

რუსეთის კომპარტიის ცეკას
მდივანი **მოლოტოვი.**

ფუჭი იმედები

რაზე ფიქრობს ბურჟუაზია როდესაც არ სძინავს ან და მაშინაც როდესაც სძინავს მას—ასე აყენებდა კითხვას ერთი მემარცხენე იუმორისტული გაზეთი გერმანიაში და უპასუხა, რომ ის ფიქრობს რუსეთის კომუნისტებზე, მას ესიზმრებიან რუსეთის რევოლუციონერებიო. ეჭვს გარეშეა, ევროპის ბურჟუაზიას მყუდროებას უკარგავენ ევროპის ქვეყნების კომუნისტები, რომლებიც ატარებენ ამ ჟამათ თავიანთი პარტიის ბოლშევიზაციას, მაგრამ ის არ ტყუვდება რუსეთის კომუნისტური პარტიის მნიშვნელობასა და მისი გავლენის შესახებ მესამე ინტერნაციონალის სხვა სექციებზე, მისი როლის შესახებ დღეს ამ სექციების მუშაობისა და ბრძოლის პროცესში.

თავისთავად ცხადია, რომ ბურჟუაზიაც ისევე სცდილობს თავისი ძალების დარაზმვას კომუნისტების წინააღმდეგ, როგორც ეს უკანასკნელები ახდენენ რევოლუციონური პროლეტარიატის მობილიზაციას და მთელი თავიანთი ენერგიის შეკუმშვას მტრის სიმაგრეებზე დასარტყამათ. ბურჟუაზია ასეთი მუშაობის დროს მოხერხებულათ სარგებლობს ყველა საშუალებით და ერთი ასეთი საშუალებაა დემორალიზაციის, უიმედობის შეტანა მებრძოლ მუშათა კლასში, კომპარტიების მიმდევარ მასებში. ის სარგებლობს თვით უმნიშვნელო ფაქტებით კომუნისტური პარტიების შინაური ცხოვრებიდან, იმ ფაქტებით, რომელთა გამოყენება მას შეუძლია იმ აზრის გასავრცელებლად ხალხში, თითქოს კომპარტია იშლება ორგანიზაციულად, ლაპაკდება იდეურ-პოლიტიკურათ, კოტრდება ზნეობრივად. ამაში მას, ბურჟუაზიას, დამხმარე ჰყავს სოციალდემოკრატ-მენშევიკები, რომლებიც ისევე არიან დაინტერესებული კომუნისტების დამარცხებაში ან დასუსტებაში, როგორც გაბატონებული კლასები. ცხადია, რომ მთელი ეს ხროვა, რომელიც შეადგენს დღეს „ერთიან რეაქციონურ მასას", დიდი სიამოვნებით წაესიენ საჯიჯგნათ იმ შინაპარტიულ დავას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენ პარტიაში მეცამეტე ყრილობამდი. დიდი იმედები აღუძრა ამ დისკუსიამ, დიდი მადა აუთამამა მაშინდელმა კამათმა ჩვენ მტრებს. მათ მოელანდათ ჩვენი პარტიის დასასრულის დასაწყისი და ისინიც ხელების სრესით სასიხარულო ზეიმისათვის გაემზადნენ, მაგრამ რაც მოხდა, ყველამ იცის... იგივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი დღემდის. ამ უკანასკნელ ხანებში კი უკვე ისმის გამოფხიზლებისა და მდგომარეობის საღათ შეფასების ნიშნები.

განვლო იმ დრომ, როდესაც მთელი ბურჟუაზიული პრესა „ფორვერტსის" ტონის მიცემით ავრცელებდა („საკუთარი კორესპონდენტებისაგან" მიღებულ) ცნობებს, თითქოს „რუსეთის დღევანდელმა ბატონ-პატრონმა სტალინმა და მისმა ორივე ლეიტენანტმა კამენევმა და ზინოვიევმა ბრძანება გასცეს მოეხდინათ ამხ. ტროცკის ცნობილი წიგნის („1917") კონფისკაცია. აღარავის სჯერა ისიც, რომ ამხ. ტროცკი არა ავადმყოფობის, არამედ გაძევების გამო შეიქნა იძულებული მოსცილებოდა მოსკოვს და მიეტოვებინა თავისი ჩვეულებრივი საქმიანობა. ბურჟუაზიის ჭკვიან მსახურებს, ე. ი. ისეთებს, რომლებსაც არა სურთ მოიტყუონ თავი და მოატყუონ მათი ბატონები „ამამაღლებელი სიცრუით", აღარ სჯერათ დღეს, რომ ის კამათი, რომელიც დაიწყო ამ უკანასკნელ დროს პარტიაში ამხ. ტროცკის „ლიტერატურული" გამოსვლის გამო, შეიტანს რაიმე არევ-დარევას კომპარტიაში და გამოიწვევს მისი რიგების დარღვევას. გაზ. „ტან"-ის თანამშრომელი ჰანრი როლლენ გაცრუებული იმედების გრძნობით სწერს ამ გაზეთში, რომ „სანამ რაიმე გარეშე ძალა არ დაემუქრება რუსეთს და რევოლუციის მონაპოვართ, დისკუსია ტროცკის ირგვლივ იწარმოებს, პარტიის მმართველი ჯგუფის სუსხი სწვდება როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ, ძალთა განწყობილების მიხედვით ამა თუ იმ მომენტში, მაგრამ **ამ დისკუსიის შინაური შედეგები შეზღუდული იქნება პარტიის დისციპლინით**"-ო. ეს ფრიად სამწუხარო ამბავია ბ-ნ როლლენისათვის, მაგრამ მწარე სინამდვილე, ურყევია ფაქტი, რომ „დისკუსიის შინაური შედეგები" ვერ გაამართლებენ ბურჟუაზიის იმედებს.

ამ ვაჟბატონებმა უნდა გაიგონ დაბოლოს, რომ ფუჭია მათი იმედები კომპარტიის დაქსაქსვის და მისი ძალების დაბნევის შესახებ

განათლების მუშაკის ამოცანები საბჭოთა აღმშენებლობაში

ოქტომბრის რევოლუციის მე-7 წლის თავში გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მშრომელი ინტელიგენციის ავანგარდი—მასწავლებლობა მცირე ნაწილის გამოკლებით, სდგას პროლეტარული რევოლუციის დროშის ქვეშ. რომ მასწავლებლობამ მუშათა კლასის რიგებში იპოვა თავისი ადგილი, პოლიტიკური გარდატეხა, რომელიც მოხდა მასწავლებლობის მასებში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, გამოაშკარავდა ამ წლის განმავლობაში როგორც ჩვენში, საქართველოში, ისე დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში (გავიხსენოთ დემონსტრაცია მოსკოვში, რ. კ. პ. მე-13 ყრილობის დროს).

ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს გადასაჭრელი ოქტომბრის რევოლუციის რიგებში მდგომ მასწავლებლობას: რაც უნდა დაჯდეს, მასწავლებელმა უნდა მოახერხოს ნამდვილი საბჭოთა სკოლის შექმნა, იმ პროლეტარული სკოლის, რომელმაც უნდა აღზარდოს კომუნისტური სულით გაჟღენთილი ახალი თაობა, ენერგიული შემოქმედებითი საქმიანობის უნარით აღჭურვილი, რომელსაც შეეძლება იტვირთოს კომუნისტური საზოგადოების შექმნის სიმძიმე.

რა გზით შესძლებს მასწავლებლობა ამ ამოცანის შესრულებას და შეუძლია თუ არა მასწავლებელს მხოლოდ სკოლაში მუშაობით, სასკოლო პროგრამების ენერგიული და კეთილსინდისიერი შესრულებით განახორციელოს ეს ამოცანა?.

ჩვეულებრივ, მასწავლებელი თავის თავს უცქერის როგორც პროფესიონალურ სასკოლო მუშაკს, რომელსაც ევალება, არსებული პროგრამების თანახმად, სკოლის კედლებში განახორციელოს მოზარდი თაობის აღზრდა და განათლება.

მაგრამ არსებული საბჭოთა სასკოლო პროგრამები, განსაკუთრებით ჩვენი ახალი პროგრამები ერთ-ერთ პირველ ადგილს უთმობენ სკოლის ბავშვებში სოციალისტური საზოგადოებრიობის მსოფლმხედველობის ჩანერგვას,—და ეს არა მხოლოდ ამა თუ იმ ცოდნის მიცემით საზოგადოებათმეცნიერებიდან. ეს საქმის სასწავლო ნაწილია. აღმზრდელობითი მხარე კი მხოლოდ სკოლის, ე. ი. მასწავლებლის და ბავშვების ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უშუალოდ მონაწილეობის მიღებით შეიძლება იქმნეს მიღწეული.

ყოველივე იმაში, რაშიც ამა თუ იმ ადგილის საზოგადოებრივი ცხოვრება გამოიხატება, **სკოლამ შემთხვევითი და პასიური მონაწილეობა კი არ უნდა მიიღოს, მას უნდა ჰქონდეს მცხოვრებლებს შორის აქტიური საზოგადოებრივი მუშაობის გეგმა.** ამ გეგმის შეურყევლად გატარებაზე უნდა იყოს დამყარებული საზოგადოებათმეცნიერების აღმზრდელობითი მხარე ამა თუ იმ საფეხურის სკოლაში.

ჩვენი ახალი პროგრამების მეორე პრინციპი არის მხარეთმეცნიერება. მხარეთმეცნიერული პრინციპის განხორციელებაც შეუძლებელია, თუ მასწავლებელმა და სკოლამ არ მიიღო მონაწილეობა ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბავშვები მხარეს სწავლობენ: რისთვის? იმისთვის, **რომ შეცვალონ ის. მაგრამ რა მხრივ უნდა შეცვალონ?—სოციალისტური საზოგადოების შექმნის მხრივ.** როგორ შეასწავლის ამას მასწავლებელი, თუ ის არ იცნობს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ, კულტურულ და სოციალურ პოლიტიკას, თუ ის არ არის დაკავშირებული სათანადო ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ბავშვებიც არ იქნებიან ჩაბმული ადგილობრივ მუშაობაში?

ყველა ტიპის და საფეხურის საბჭოთა სკოლების სოციალისტური განათლების ძირითადი ამოცანაა — შეასწავლოს (მოწაფეთა ასაკის მიხედვით) ადგილობრივი ყოველდღიური პრაქტიკის დაკავშირება საბჭოთა ხელისუფლების საერთო ამოცანებთან.

როგორ შესძლებს მასწავლებელი ამგვარი პოლიტიკური აღზრდის თუნდაც მხოლოდ ელემენტების ჩატარებას, თუ თვითონ არ მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში და თუ ბავშვებსაც არ ჩაითრევს ამ მუშაობაში.

ამ რიგად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ შეუძლებელია საბჭოთა სასკოლო მუშაობის გამოცალკევება, გამიჯვნა გარემოცულ წარმოებითი, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებიდან.

პირიქით, **სკოლა და გარემოცული ცხოვრება — მთლიანი კომპლექსია და მასწავლებელმა უნდა იცოდეს მთელი კომპლექსი** და უნდა მუშაობდეს ამ კომპლექსის ყველა განშტოებაში, რომ სკოლაში მუშაობა შესძლოს. მასწავლებელი ყოველმხრივ მიიღებს მონაწილეობას მთელ ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თვითონ ისწავლის და სხვებსაც ასწავლის.

ამას გარდა, მასწავლებელი მნიშვნელოვან კულტურულ ძალას წარმოადგენს სოფელში. მას შეუძლიან და ის კიდეც უნდა იყოს არა მხოლოდ სკოლის მუშაკი, არამედ რევოლუციის მუშაკი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით: თუ ის სკოლაში ზრდის ახალ თაობას ახალი ცხოვრების აღმშენებლობისთვის და რევოლუციის დაცვისათვის, მაშინ მან უნდა ასწავლოს და აღზარდოს ის მუშები და გლეხები, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის დიად მონაპოვართა სადარაჯოზე დგანან. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, 1920 წლის ნოემბერში რომ სწერდა: „ახლა ჩვენ უნდა აღვზარდოთ პედაგოგიური პერსონალის ახალი არმია, რომელიც უნდა იყოს დაკავშირებული პარტიასთან, მის იდეებთან, გაჟღენთილი უნდა იყოს მისი სულისკვეთებით, უნდა მიიზიდოს მუშათა მასები, კომუნისტური სულისკვეთებით გაჟღენთოს ისინი, დააინტერესოს იმით, რასაც კომუნისტები აკეთებენ".

ახალი ეკონომიური პოლიტიკის გავლენით საგრძნობი სიჩქარით ხდება გლეხების დაყოფა ღარიბებად და მდიდრებად—ჩარჩებათ. ამ ჩარჩების ეკონომიურად გაღონიერებას ღარიბების შეკავშირება და ორგანიზაციულობა უნდა დაუპირისპირდეს. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლო, როდესაც ღარიბებს ნათლად აქვთ შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესები. კომუნისტური პარტიის მუშაობა სოფლის ღატაკების შეკავშირებისკენ არის მიმართული და ამ მუშაობაში მასთან უნდა იქნეს სახალხო მასწავლებელიც.

სახალხო მასწავლებელს რევოლუციონური განათლების მუშაკი ეწოდება, მაგრამ ის ვერ გაამართლებს ამ სახელწოდებას, თუ მჭიდროთ არ იქნა დაკავშირებული ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან და თუ დახმარება არ გაუწია ამ ორგანოების სათავეში მდგომ მუშებსა და გლეხებს რჩევით, ამ ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღებით, შესაფერისი ლიტერატურის კითხვით და სხვა.

მუშათა მოძრაობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მშრომელი ქალების მოძრაობას. ქალთა მოძრაობის მნიშვნელობა არ არის შემოფარგლული ქალის პოლიტიკური და საერთო შეგნების გაფართოვებით და ქალის განთავისუფლებით,—თავისუფალი და შეგნებული დედა დიდ როლს შეასრულებს ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდაში. ამიტომ საჭიროა გაცხოველებული იქნეს მუშაობა ქალთა შორის. არც ერთი მშრომელი ქალი —სოფლისა და ქალაქისა—არ უნდა დარჩეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარეთ. მასწავლებელ ქალებმა, უმთავრესად, უნდა უხელმძღვანელონ ამ საქმეს ადგილობრივ ქალთა განყოფილებებთან ერთად.

საბჭოთა ხელისუფლების გადაუდებელ მორიგ ამოცანას ეკონომიურ სფეროში წარმოადგენს კოოპერაციის გაძლიერება და ბაზრის დაპყრობა. უამისოდ წარმოუდგენელია სოფლისა და ქალაქის შეკავშირება. ყველა მშრომელები უნდა გაერთიანდნენ კოოპერაციაში; დიდ კულტურულ მუშაობას წარმოადგენს კოოპერაციის ფართო პროპაგანდა და იმის ახსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მომხმარებელ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებითი და სხვა კოოპერაციაში გაერთიანებას. ამ საქმეში ჯეროვანი ადგილი უნდა დაიჭიროს სახალხო მასწავლებლის საზოგადოებრივ მოღვაწეობამ.

მშრომელებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი ცნობების მიღებას იმის შესახებ, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში და მის გარეთ. არა მარტო სოფელი, ხშირად ქალაქიც იკვებება ქუჩის ჭორით, სულელური ხმებით, რომლებიც ავრცელებენ მშრომელთა ხელისუფლების მტრები, რომ დაარღვიონ საზოგადოებრივი მყუდროება და გაამწვავონ უკვე [illegible] ჩამოყალიბებული ნაციონალური ურთიერთობანი. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული გაზეთები, ჟურნალები, პლაკატები, წიგნები, კედლის გაზეთი, ცოცხალი სიტყვა და სხვა, რომ მოსახლეობას სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ. მთელი საბჭოთა საქართველო უნდა იყოს დაფარული ქოხ-სამკითხველოების ქსელით და სახალხო მასწავლებელი უნდა იყოს ქოხ სამკითხველოს ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

ახალი საზოგადოებრიობის მორიგ ამოცანას შეადგენს სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნოებათა და ძველი ყოფა-ცხოვრების მავნე ნაშთების აღმოფხვრა; ამ ამოცანის შესრულებისათვის საჭიროა მოხერხებულად გავრცელდეს საზოგადოებაში მეცნიერული ცოდნა ლექციების კითხვით, ბაასით, პოპულარული ლიტერატურის კითხვით სახალხო სახლებსა და სკოლებში, სახალხო წარმოდგენების გამართვით და სხვა. ეს საქმეც სახალხო მასწავლებელმა უნდა იკისროს.

საბჭოთა საზოგადოებრიობა მძაფრად მოითხოვს ახალგაზრდობის ჩაბმას ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში და მათ გაერთიანებას სათანადო ორგანიზაციებში: ახალგაზრდობის მისწრაფება ორგანიზაციულობისადმი გამოიხატა ახალგაზრდა ლენინელების კომუნისტურ კავშირში, პიონერთა მოძრაობაში. მასწავლებელმა აქ დიდი მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ ორგანიზაციების გაძლიერებაში.

ასე დიდია მასწავლებლის როლი საბჭოთა აღმშენებლობაში. ამ როლის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მასწავლებელი მარტო სასკოლო მუშაკათ კი აღარ წარმოიდგენს თავს, არამედ შეხედავს თავის თავს, როგორც სოციალისტურ განათლების მუშაკს.

საბჭოთა ხელისუფლება მასწავლებლობიდან ფართო შემოქმედებითი საქმიანობას მოელის და თავის თავსაც ვალდებულად სთვლის ყოველგვარი ღონისძიება იხმაროს მასწავლებლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კომუნისტური პარტიის სხვადასხვა კონფერენციებზე და ყრილობებზე საბჭოთა ხელისუფლების ამოცანად პირველ რიგში მასწავლებლის საკითხს აყენებენ. ჯერჯერობით გაკეთებულია ის, რის გაკეთებაც შესაძლო იყო ჩვენი რთული ეკონომიური პირობების მიხედვით და კვლავაც განვაგრძობთ მასწავლებლის მდგომარეობის გასაუმჯობესებელ საშუალებათა გამონახვას. **მაგრამ მასწავლებლობამ კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი ქვეყნის მეურნეობის გაძლიერება-გაუმჯობესებაზე არის დამოკიდებული. მეურნეობის აღორძინება კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ინტენსიური იქნება საზოგადოებრივ-კულტურული მუშაობა ცოცხალი ძალებისა ქალაქად და სოფლად, უპირველეს ყოვლისა—სახალხო მასწავლებლობისა.**

მარიამ ორახელაშვილი.

კონსერვატორების მთავრობა გაება სიცრუის ქსელში

საბჭოთა მთავრობა მიწერ-მოწერას „ზინოვიევის წერილის" შესახებ დამთავრებულად სცნობს

ინგლისის მთავრობა გაექცა სამედიატორო სასამართლოს.—ერთხელ კიდევ დამტკიცდა საბჭოთა მთავრობის სიმართლე „ზინოვიევის წერილის" საკითხში.—საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში მომავალ კვირას ჩამოვა მოსკოვში.—ესტონეთში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ელჩი.—

ჩემბერლენის ნოტა

მოსკოვი. 4 იანვარი. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჩემბერლენმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ინგლისში რაკოვსკის შემდეგი ნოტა გადასცა:

„მე მივიღე თქვენი ნოტა 22 დეკემბრის თარიღით, რომელშიაც თქვენ უბრუნდებით ბატონ ზინოვიევის წერილს, რომელიც მან გაუგზავნა ამა წლის 15 სექტემბერს ინგლისის კომუნისტურ პარტიას.

მისი უდიდებულესობის მთავრობა ველარაფერს ველარ დაუმატებს 21 ნოემბერს თქვენს სახელზე გამოგზავნილ ნოტას, რომელშიაც ეს საკითხი ყოველმხრივაა გაშუქებული.

ჩემბერლენი".

1924 წ. 25 დეკემბერი.

ამხ. რაკოვსკის პასუხი

მოსკოვი. 5 იანვარი. რაკოვსკიმ გადასცა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ჩემბერლენს შემდეგი ნოტა:

„ჩემმა მთავრობამ დამავალა 25 დეკემბერს თქვენ მიერ გამოგზავნილ წერილზე საპასუხოთ განვაცხადო, რომ ინგლისის მთავრობა, რომელიც უარს ამბობს მიიღოს საბჭოთა მთავრობის წინადადება მიუდგომელ სამედიატორო სასამართლოს წესით ზინოვიევის წერილის სინამდვილის გამორკვევის შესახებ, ადასტურებს, რომ მას არ შეუძლია დაამტკიცოს აღნიშნულ წერილთან დაკავშირებული ბრალდება.

საბჭოთა მთავრობა დასრულებულათ სთვლის მიწერ-მოწერას ამის შესახებ".

რაკოვსკი".

1925 წ. 2 იანვარი.

ამხ. ჩიჩერინის განცხადება

მოსკოვი 4 იანვარი. „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ჩიჩერინმა შემდეგი განაცხადა ინგლისის კონსერვატიულ მთავრობის და საბჭოთა მთავრობის შორის ნოტების გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

„როგორც ვიცით, ბატონმა ჩემბერლენმა დაიწყო დიპლომატიური ურთიერთობა ჩვენ სრულუფლებიან წარმომადგენელთან ორი ნოტით; ერთ მათგანში ინგლისის მთავრობა აცხადებდა უარს 8 აგვისტოს ხელშეკრულების დამტკიცებაზე, ხოლო მეორე ადასტურებდა ზინოვიევის ყალბი წერილის „სინამდვილეს" და აქედან გამოჰყავდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის არასასიამოვნო დასკვნები. ჩვენის მხრივ ამ გამოსვლაზე პასუხი იქნა გაცემული რაკოვსკის ორ ნოტაში. ამ ნოტებში სხვათა შორის [illegible] წინადადებას, რომ „ზინოვიევის წერილის" სინამდვილის გამორკვევა დავალებოდა მიუდგომელ სამედიატორო სასამართლოს. ამავე დროს ამ წერილის სიყალბეს ჩვენ ოფიციალურად ვადასტურებდით.

ამას მოჰყვა ჩემბერლენის პასუხი, ძალიან მოკლე, მაგრამ ფრიად დაუსაბუთებელი: ის აცხადებს ამის გამო, რომ ვერაფერს ვერ დაუმატებს 21 ნოემბრის ნოტასო. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ განცხადებას ზინოვიევის წერილის სიყალბის შესახებ უყურადღებოთ სტოვებს ინგლისის კონსერვატიული მთავრობა. **გარდა ამისა ეს იმას ნიშნავს, რომ რაკოვსკის საპასუხო ნოტაში წამოყენებული სხვადასხვა არგუმენტებიც დატოვებული იყო უყურადღებოთ.**

ბოლოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა არ იღებს ჩვენს წინადადებას სამედიატორო სასამართლოს შესახებ.

ჩემბერლენის მიერ სამედიატორო სასამართლოზე უარის თქმა „ზინოვიევის წერილის" საკითხის სინამდვილის გამოსარკვევად, ხაზსმით შეეფერება ინგლისის მთავრობის და აგრეთვე მის გავლენის ქვეშ მყოფი სხვა მთავრობების საერთო ხაზს.

საბჭოთა კავშირი, რომელმაც მიზნად დაისახა ყველა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება და მშვიდობიანობისთვის ხელის შეწყობა, დაჟინებით უცქერის ამ არა მეგობრულ პოლიტიკის გამოხატულებას და ხაზს უსვამს, რომ უყურადღებოთ დატოვება მისი წინადადებისა სამედიატორო სასამართლოს შესახებ, ამტკიცებს მის სიმართლეს".

ერბეტი მოემგზავრება მოსკოვში

მოსკოვი. 4 იანვარი. საფრანგეთის ელჩი ჟან ერბეტი ჩამოვა მოსკოვში ერთი კვირის შემდეგ.

ჩვენი ელჩი ესტონეთში

მოსკოვი. 4 იანვარი. 3 იანვარს მოსკოვიდან რეველში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ესტონეთში პეტროვსკი.

საბჭოთა კავშირის კონსულები

მოსკოვი. 4 იანვარი. საბჭოთა კავშირის კონსულად ასტრაბადში (სპარსეთი) დანიშნულია ზასლავსკი, დვინსკში (ლატვია) ტრუშკოვსკი.

ურთიერთობა პორტუგალიასთან

პარიზი. 4 იანვარი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, პორტუგალიის მინისტრთა საბჭოს პრინციპიალურად გადაწყვეტილი აქვს იცნოს საბჭოთა მთავრობა იურიდიულად.

ჭორების გუდა

რიგა. 4 იანვ. ამას წინად პოლონეთის პრესა იტყობინებოდა, რომ ლატვიის სეიმის თავმჯდომარის ვესმანის პოლონეთში მოგზაურობის მიზანი მოლაპარაკების გამართვა პოლონეთის პრეზიდენტთან საერთო ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნის შესახებ. ამის გამო ვესმანმა ლატვიის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ პოლონეთის პრესის ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს. ვესმანის სიტყვით, მას არავითარი პოლიტიკური მოლაპარაკება არ ჰქონია პოლონეთთან.

ტერორი ბალკანეთში

რადიჩის პარტიის განადგურება.

ვენა. 4 იანვარი. რადიჩის პარტიის დაშლის შესახებ დეკრეტის გამოსვლის შემდეგ დააპატიმრეს პარტიის პრეზიდიუმის ყველა წევრი, თვით ვიცე-თავმჯდომარე მაცეკი, რომელიც სარგებლობდა დეპუტატის ხელშეუხებლობით.

რადიჩი არავინ იცის სად იმყოფება.

ზაგრებში და მთელს პროვინციაში სწარმოებს ჩხრეკა და დაპატიმრება. მთავრობას განზრახული აქვს ხელი შეუშალოს რადიჩის პარტიის საარჩევნო სიების შედგენას.

რუმინეთის პრესა ცანკოვის მოგზაურობის შესახებ.

ვენა. ეხება რა ცანკოვის გამგზავრებას ბუქარესტში, გაზეთი „ლუპტა", რომელიც ახლო სდგას დიპლომატიურ წრეებთან, ამბობს რომ თუმცა რუმინეთი მზათ არის ბლოკი შეკრას ბულგარეთთან ბოლშევიკური საშიშროების წინააღმდეგ საბრძოლველათ, **მაგრამ მას სურს თავი შეიკავოს იმ კავშირში შესვლისაგან, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქნება მიმართული, რომ მას არ დააბრალონ პროვოკაცია და საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევა.**

გლეხთა პარტიის ორგანო „ავრორა" სასტიკად ილაშქრებს ბრატიანუს და ცანკოვის მთავრობის წინააღმდეგ და ბრალს სდებს მათ ახალი „წმინდა კავშირის" შექმნის განზრახვაში.

ვენა. 4 იანვ. **გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება რუმინეთში დაპატიმრებულნი არიან ცეკას ყოფილი წევრები. ათი წლის ციხე მიესაჯა დობროჯიანს და ლუკას ცოლითურთ.**

ვენა. 4 იანვ. მაკედონიის კომიტაჯიების ბელადი სტოიან მიშე, რომელიც ხელმძღვანელობდა ბოლოს ბულგარეთში მაკედონელ მეამბოხეთა წინააღმდეგ, მოკლული იქნა მაკედონიის რევოლუციონურ ორგანიზაციის წევრის მიერ.

პარიზი. 5 იანვარი. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ თანახმად დეკრეტისა რადიჩის პარტიის დაშლის შესახებ, **მრავალ ადგილებში დააპატიმრეს ამ პარტიის ბელადები. იუგოსლავიის მთავრობამ გადაწყვიტა სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვოს ყველა ის პირები, რომლებიც რადიჩის პარტიას ეკუთვნიან**

ფაშიზმის კრიზისი

ლონდონი, 5 იანვარი. მუსოლინიმ პარლამენტში წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მიმართული იყო ოპოზიციისა და კერძოდ, სოციალისტებისა და კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ პარლამენტს; **ისინი პარლამენტს ბრალს სდებენ იმაში, რომ ის მხარს უჭერს მთავრობის არაკონსტიტუციონურ აქციებს.** მუსოლინიმ განაცხადა, რომ ყველა მისი ცდები შეთანხმებული იყო ოპოზიციასთან კომპრომისის საშუალებით, უარყოფილი იქნა ოპოზიციის მიერ და ამიტომ „მხოლოდ ძალას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ეხლანდელ მომენტში". მუსოლინიმ ფიცი დასდო ეს დებულება ნათელი გახადა 48 საათის განმავლობაში ფაშისტური რაზმების მობილიზაციისა და ოპოზიციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღების გზით.

პარლამენტი დაითხოვეს

ლონდონი, 5 იანვარი. მუსოლინის სიტყვის გათავების და ოპოზიციის მიერ შეტანილ უნდობლობის ვოტუმის უარყოფის შემდეგ, გამოცხადდა, რომ **იტალიის პარლამენტის მუშაობა გადადებულია. მუშაობის განახლების ვადა არ არის ნაჩვენები.**

ლონდონი, 5 იანვარი. რომიდან მიღებული ცნობით, ფაშისტები უცდიან მხოლოდ მუსოლინის სიგნალს, რომ განიმეორონ თავიანთი წინანდელი გამოსვლა, რომლის წყალობით მუსოლინი გახდა დიქტატორი.

მტკიცე კურსი.

რომი. 4 იანვ. იმ მიზნით, რომ ბოლო მოუღოს სხვადასხვა მამხილებელი ცნობების გამოქვეყნებას ოპოზიციის მხრივ, იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა აიღოს მტკიცე კურსი. **უკანასკნელი დღეების განმავლობაში კონფისკაცია უყვეს ყველა ოპოზიციურ გაზეთებს. მთელ რიგ ქალაქებში გაჩხრიკეს ოპოზიციის მოღვაწეთა ბინები და ოპოზიციონური გაზეთების რედაქციები**

ფლორენციაში, ფაშისტური მანიფესტაციის შემდეგ, ფაშისტები თავს დაესხნენ „ნუოვო ჯორნალე"-ს რედაქციას და სტამბას, მასონთა ბინას და ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთა კავშირის ბინას. ფაშისტები შეეცადნენ თავს დასხმოდნენ ციხეს, რომ განეთავისუფლებინათ დამწყვდეული ფაშისტები, მაგრამ შეტევა მოიგერიეს ჯარისკაცებმა; ამასთანავე დასახმარებლათ გამოწვეული იყო არტილერიის ერთი ბატარეა.

მილანში და ზოგიერთ სხვა ქალაქებში ფაშისტებმა მოაწყვეს ოპოზიციონური გაზეთების დაწვა.

მთავრობამ გამოაქვეყნა დადგენილება საჯარო კრებების აკრძალვის შესახებ.

გაზეთები ამტკიცებენ, რომ მუსოლინიმ პარლამენტში წარმოსთქვა სიტყვა ახალი კურსის შესახებ შინაურ პოლიტიკაში.

პარტიზანული მოძრაობა პოლონეთში

ამერიკის სესხი პოლონეთს.

ვარშავა, 4 იანვ. „პრეუგლონდ ვეჩორნი" იტყობინება, რომ გრაბსკის თათბირი ჰქონდა ამერიკის ელჩთან ვარშავაში პირსონთან იმ სესხის შესახებ, რომელიც უნდა მისცეს ამერიკამ პოლონეთს 40 მილ. დოლარის რაოდენობით. **ხელშეკრულება დადებული იქნება ამ დღეებში.**

შეტაკება პარტიზანებთან.

ვარშავა, 4 იანვ. ვოლინში (კრემენეცის მაზრა) ადგილი ჰქონდა სისხლიან შეტაკებას პარტიზანებსა და პოლონეთის მოსაზღვრე კორპუსის ნაწილს შორის. ბრძოლის შემდეგ, რომელიც რამოდენიმე საათი გრძელდებოდა, პოლიციამ მოახერხა ცხრა პარტიზანის დაჭერა; დანარჩენი 30 პარტიზანი მიიმალა.

ახალი ინტერნაციონალი

ბერლინი, 4 იანვარი. რამოდენიმე დღის განმავლობაში ბერლინში მოლაპარაკება სწარმოებდა ახალი ინტერნაციონალის შექმნის შესახებ. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ ბული, ბალაბანოვა, შტეინბერგი, სპირო, დელაგრანჟი, პიეტრო ნენი, თეოდორ ლიბკნეხტი, ლედებური, პოლონელ ბუნდოველების და ლატვიელ დამოუკიდებელთა წარმომადგენელი.

კამათის დროს განხილული იყო როგორც საორგანიზაციო, ისე პრინციპიალური საკითხები. ბალაბანოვამ იტალიელ მაქსიმალისტების წარმომადგენელმა — შესავალ სიტყვაში დაახასიათა მომავალი ინტერნაციონალის მიზნები და მისწრაფებანი. სასტიკ ანტი-საბჭოთა ხაზის დამცველებათ გამოვიდნენ შტეინბერგი და სპირო. ნორვეგიის და საფრანგეთის წარმომადგენლები აფრთხილებდნენ კრებას, რომ ახალ ინტერნაციონალს არ მისცემოდა ანტი-ბოლშევიკური ხასიათი, „რადგან მუშათა მასები ვერ გაიგებენ ასეთ მიმართულებას".

პოლიცია „მუშაობს"

ბერლინი, 4 იანვარი ვოლფის სააგენტოს ცნობებით, **ვენაში დააპატიმრეს გერმანიის კომპარტიის ბელადი რუტ ფიშერი. დაპატიმრებულია აგრეთვე გერმანიის კომპარტიის წევრი მაქს ნეიმანი, რომელიც ვენაში იმალებოდა [illegible] კოხტას გვარით.**

ბერლინი, 4 იანვარი. ვენიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობების თანახმათ, რუტ ფიშერი განთავისუფლებულია.

ოსმალეთის ამბები

ლონდონი, 5 იანვარი „დეილი მეილ"-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ოსმალეთის ნაციონალურ კრებაში შეტანილია კანონპროექტი განსაკუთრებული გადასახადის შემოღების შესახებ უცოლოებზე და უშვილო ცოლქმარზე. კანონპროექტის მიზანია შობიარობის გადიდება ოსმალეთში. გადასახადის ნორმები დაწესებული იქნება შემოსავლის კვალობაზე. უმაღლესი ნორმა —75 ოსმალური გირვანქა ყოველწლიურათ.

ინგლისელების წინააღმდეგ

ლონდონი. 5 იანვარი. **2.000 ეგვიპტელ სტუდენტთა კრებაზე პარიზში მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც მხარს უჭერს ზაგლულ-ფაშას და სასტიკათ ილაშქრებს ზივარ-ფაშის და ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ ეგვიპტეში.**

ბურჟუაზია ემზადება „განიარაღებისათვის"

ნიუ-იორკი. 5 იანვარი. **პრეზიდენტმა კულიჯმა მიიწვია სენატორი ბორა თათბირზე, რომელზედაც განხილული იქნება ეკონომიურ საკითხების და განიარაღების მოსაგვარებლად ახალი კონფერენციის მოწვევის საკითხი.**

სათესლე კამპანიისათვის

მოსკოვი. 4 იანვ. ცენტრალურ სათესლე სამეულის სხდომაზე გამოირკვა, რომ პურის დამხადებელ ორგანიზაციებზე დაკისრებული დავალებანი სათესლე მასალის დასამზადებლად შესრულებული იქნება სრულიად ახლო მომავალში.

სპეციალურ კომისიას დაევალა შეიმუშაოს სათესლე მასალის გადაზიდვის გეგმა იმ ვარაუდით, რათა საგაზაფხულო სათესლე მასალის მიწოდება დასრულებული იქნას არა უგვიანეს 5 თებერვლისა.

სათესლე სამეულმა აღიარა, რომ მოწოდება უნდა მოხდეს თვითღირებულების ნიადაგზე.

უკანასკნელი ცნობები

წყალდიდობა ლენინგრადში

ლენინგრადი, 5 იან. წყალმა უმაღლეს წერტილს მიაღწია 3 იანვარს ღამის თერთმეტის ნახევარ საათზე, რის შემდეგ სწრაფად დაიწყო დაკლება.

ქალაქში თანდათანობით მყარდება ნორმალური მდგომარეობა, ტრამვაის მუშაობა სავსებით აღდგენილია, ელექტრონის სადგურები და წყალსადენი ნორმალურად მუშაობენ.

წყალდიდობას მოულოდნელად არ მოუსწრია ლენინგრადისათვის. ლენინგრადის პროლეტარიატმა არაჩვეულებრივი ენერგია გამოიჩინა. საჩქაროდ იქნა მიღებული ზომები ფაბრიკა-ქარხნების და დაწესებულებების დასაცავად წყალდიდობისგან. როგორც კი წყალის ადიდებამ საშიში ხასიათი მიიღო, ყველა ქარხნებიდან დაუყოვნებლივ იქნა მიცემული გასაფრთხილებელი ნიშნები. მუშებმა დაუყოვნებლივ მოიყარეს თავი ქარხნებში, დაიწყო მანქანების და მასალების დალაგება. ქარხნებში მუშებთან ერთად მუშაობდენ კომკავშირელები. ღამით გვიანობამდი იყო ღია სასურსათო მაღაზიები. მხოლოდ ზოგიერთ რაიონებში გაქრა ელექტრონი სარდაფების წყალით ავსების გამო.

ქალაქში სრული სიწყნარე სუფევდა.

ზარალი წყალდიდობისაგან უმნიშვნელოა. არც ერთი ქარხანა, არ დაზიანებულა სერიოზულად არ ყოფილა, წყალდიდობასთან დაკავშირებით, არც ერთი უბედური შემთხვევა ან ხანძარი.

წყალსადენი, ტელეგრაფი და ტელეფონი წესიერად მუშაობენ.

ლენინგრადი, იან. 4 იანვარს ნაშუადღევის 3 საათზე და 20 წუთზე კვლავ დაიწყო წყლის აწევა ნევაში. 7 საათზე და 30 წუთზე წყალი ავიდა 8 ფუტზე და 2 დიუმზე. ამის შემდეგ წყალმა დაიწყო დაკლება. ღამის 11 საათზე ბალტიის ზღვაზე გაიარა ციკლონმა და ობსერვატორიამ მისცა ცნობა, რომ მოსალოდნელია ნევაში წყალის კიდევ ადიდება 5 იანვრისათვის.

დილის 7 საათზე დაიწყო წყალის ისევ ადიდება, დილის 10 საათზე წყალი ავიდა 8 ფუტზე და 7 დიუმზე.

ახალი ინტერნაციონალის დაარსების ცდა.

ვენა. 5 იანვარი. ლედებური სასტიკად გააკრიტიკეს იმ პოზიციის გამო, რომელიც ეჭირა მას რურისათვის დაწყებული ბრძოლის დროს (ლედებური მხარს უჭერდა პასიურ წინააღმდეგობას), მას თავს ესხმოდენ აგრეთვე კომუნისტებისადმი სიმპატიებისათვის და მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტთან თანამშრომლობისათვის.

კონფერენციაზე თავი იჩინა სრულმა შეუთანხმებლობამ საერთაშორისო ბიუროს დაარსების საკითხში.

კონფერენცია დასრულდა სრულ კაოსშიდა არავითარი პრაქტიკული შედეგი მას არ მოუტანია.

კონფერენციის სხდომებზე არავის არ უშვებენ, პრესის წარმომადგენლებს არავითარ ცნობებს არ აძლევენ.

კონფერენციის მრავალი ხელმძღვანელები წინასწარ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ამ კონფერენციისადმი, რომელსაც მიზნად ჰქონდა ახალი ინტერნაციონალის შექმნა.

ლოკაუტი შვეციაში

სტოკჰოლმი. 5 იანვარი. 17 იანვრისათვის გამოცხადებულია ლოკაუტი სურსათის დამმზადებელ მრეწველობაში. ლოკაუტი შეეხება 2700 მუშას. კონფლიქტი გამოწვეულია იმით, რომ მუშებმა მოითხოვეს შრომის ხელფასის გადიდება. ქარხნის პატრონები კი მოითხოვდენ შრომის ხელფასის დაკლებას 20 პროცენტით.

გერმანიაში მთავრობა ვერ შეადგინეს

ბერლინი. 5 იანვარი. ვინაიდან არ მოხერხდა პარლამენტის უმრავლესობის მთავრობის შედგენა, გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა ოფიციალურად მისცა წინადადება მარქსს შეადგინოს საქმიანი მთავრობა. მარქსმა მიიღო ებერტის წინადადება.

პარტიები, როგორც სჩანს, კმაყოფილი არიან ამ გამოსვლით. მარქსი დაბეჯითებით არწმუნებს პარტიების წარმომადგენლებს, რომ საჭიროა შეთანხმება მუშაობის უნარის მქონე მთავრობის შესაქმნელად. საქმეს აბრკოლებს ის გარემოება, რომ მემარჯვენე პარტიებს არ სურთ იკისრონ პასუხისმგებლობა.

მემარჯვენე პარტიები საქმიან კაბინეტს უყურებენ, როგორც გარდამავალი დროის მთავრობას, როცა უნდა მომზადდეს ნიადაგი ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის შესადგენად. მემარჯვენეები ფიქრობენ, რომ „საქმიანი მთავრობის“ შექმნა წარმოადგენს არა გამოსავალს კრიზისიდან, არამედ მხოლოდ ერთგვარ დროის მოგებას.

ამხ. რუთ ფიშერის გაძევება ვენიდან

ბერლინი. 5 იანვარი. ვენიდან იუწყებიან, რომ რუთ ფიშერს მიუსაჯეს 12.000 კრონის ჯარიმის გადახდა და ავსტრიიდან გაძევება.

კომუნისტების დიდი დემონსტრაცია ბერლინში.

ბერლინი, 5 იანვარი. კრება, რომელიც ჩაატარა კომპარტიამ ამნისტიის შესახებ, ბრწყინვალედ ჩაიარა. მიუხედავად წვიმისა, დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათეულმა ათასმა მუშამ. ამ დღეს ქალაქში დიდი მოთხოვნილება იყო წითელ დროშებზე და ხუთქიმიან ვარსკვლავებზე.

ბავარიის საბჭოთა მთავრობის ყოფილმა წევრმა, კომუნისტმა ზაუბერმა, რომელიც ახლახან გამოუშვეს მიუნხენის ციხიდან ილაპარაკა იმ მხეცური რეპრესიების შესახებ, რომელსაც მიმართავენ ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის მოღვაწეთა მიმართ.

სიტყვების შემდეგ, შეკრებილი ხალხი „ინტერნაციონალის“ სიმღერით, გაშლილი დროშებით გაემართა ქალაქის ცენტრისაკენ. მრავალ ადგილებში ტრამვაის მოძრაობა შეჩერებული იყო.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

წითელი აგრონომები

მოსკოვი. 4 იანვარი ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შეიტანეს მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატში 1500 მოთხოვნილება აგრონომებზე, იმ სტუდენტთა რიცხვიდან, რომლებიც წელს ამთავრებენ უმაღლეს აგრონომიულ სასწავლებლებს. ეს მოთხოვნილებანი სავსებით იქნება დაკმაყოფილებული, ვინაიდან ახლად კურს დათავრებულ სტუდენტებთან ერთად გაზაფხულზე იქნება 3.000 აგრონომი.

პუტილოვის ეკლესიის დახურვა.

ლენინგრადი 4 იანვარი პუტილოვის ქარხნის სახელოსნოების მუშებმა დაადგინეს დახურონ პუტილოვის საყდარი. საყდრის შენობა მოხმარდება საგანმანათლებლო საჭიროებებს.

ამინდი საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი. 4 იანვარი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქებში ტემპერატურა უდრის 10—18 გრადუსს ცენტრში, სამხრეთში და სამხრეთ. დასავლეთში—5—15 გრადუსს. დასავლეთში და ჩრდილოეთ-დასავლეთში ტემპერატურა ნულს ქვევით არ დასულა.

დასავლეთში და ცენტრში მოსალოდნელია ყინულის გადნობა.

კოოპერატორების ყრილობა.

მოსკოვი. 4 იანვ. პირველ თებერვალს შეიკრიბება კოოპერატორთა სრულიად რუსეთის ყრილობა, რომელიც განიხილავს საკითხს კოოპერაციაში ინვალიდების ჩაბმის შესახებ

წყალდიდობა ლენინგრადში

როგორ დაიწყო წყალდიდობა.

ლენინგრადი. 3 იანვარი. 2 იანვარს, შუადღეზე ბარომეტრმა დაიწყო დაცემა. 3 იანვარს, საღამოს 7 საათ. 30 წუთზე, წყალმა ნევაში აიწია 5 ფუტით. შემდეგ წყალი შეუჩერებლად მატულობს. პეტროპავლოვსკის ციხიდან ისმის ზარბაზნების სროლა. წყალმა აიწია 6 ფუტით და 8 დიუმით. წყალის მომატება საფრთხეში აგდებს კუნძულებს და ქალაქის დაბალ ადგილებს.

საღამოს 9 საათზე წყალმა ნევაში აიწია 7 ფუტით ზევით. დაფარულია „კამენნი“ კუნძული, კუნძული ელაგინი, კრესტოვსკის კუნძული. წყალი გამოჩნდა მოედანზე მარიინის თეატრთან დაფარულია ვოლოდარსკის სახელობის ქარხანა, სამოილოვას ფაბრიკა იძლევა გამაფრთხილებელ სიგნალებს. წყალი ემუქრება ქირურგიული ინსტრუმენტების ქარხანას.

9 ნახ. საათზე შეწყდა ტრამვაის მოძრაობა პეტროგრადის მხარეზე. ამ რაიონში რამოდენიმე ქუჩაზე გამოჩნდა წყალი. შესდგა წყალდიდობასთან მებრძოლი შტაბი.

9 საათზე და 40 წუთზე. გრძელდება გამაფრთხილებელი სროლა პეტროპავლოვსკის ციხიდან. ყველა ქარხნებიდან ისმის საყვირების ხმა.

წყალი ფონტანკაში და მოიკაში გაუსწორდა განაპირა ქუჩას. წყალით იფარება პუტილოვის ქარხანა. წყალი შევიდა ნახშირის საწყობებში სადაც ინახება 100,000 ფუთამდე ნახშირი.

10 საათზე. ფონტანკამ გადალახა ნაპირი. შეწყდა ტრამვაის მიმოსვლა ბაღის ქუჩაზე. წყალმა აიწია 7 ნახ. ფუტით. ნევის პროსპექტზე, ფონტანკის რაიონში, წყალმა დაფარა დაბალი სართულები.

10 ნახ. წყალმა დაფარა ლახტის ხიდი. წყალი ძლიერ აწვება რკინისგზის ხიდის ლახტის გამო იქ გაიგზავნა მაშველი რაზმები, პეტერგოფიდან იტყობინებიან, რომ წყალმა მოაზვავა ყინული ყურეში. ყინული დაიძრა ლენინგრადისაკენ.

საღამოს 9 საათზე ბარომეტრი არაჩვეულებრივად დაბლა იდგა — 717 მილიმეტრზე, ხოლო 10 საათზე ბარომეტრმა იწყო აწევა და 11 საათისათვის იდგა 723 მილიმეტრზე.

წყალის დაცემა

10 საათზე და 40 წუთზე წყალმა დაიწყო დაცემა. წყალი საკმაოდ სწრაფად კლებულობს. ამ ჟამად წყალის სიმაღლე დაეცა 6 ფუტამდე და 8 დიუმამდე.

„წმინდა მამების“ ოინები

კიევო-პეჩორის ლავრაში იპოვეს გადამალული დიდძალი განძეულობა

კიევი, 5 იანვარი კიევის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს უკრაინის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსმა განაცხადა:

„გაზაფხულზე პოლიტიკურმა სამმართველომ გაიგო, რომ კიევო-პეჩორის ლავრაში გადამალულია საეკლესიო განძეულობათა ნაწილი, რომელიც უნდა გადასცემოდა სახელმწიფოს ჯერ კიდევ 1922 წელს.

თექვსმეტ დეკემბერს პოლიტსამმართველო შეუდგა განძეულობის ძებნას, რაც რამდენიმე დღე გაგრძელდა.

სულ იპოვეს: 350 კარატი ბრილიანტი 50 კარატი ალმასი, რამდენიმე ათეული კარატი ლალი, მარგალიტი, საპფირონი, ფუთნახევარი ოქრო, ერთი ფუთი ზოდალი ოქრო, 40 ფუთი ვერცხლი და სხვა მრავალი ძვირფასი საეკლესიო ნივთები.

ამ ნივთების ნაწილი ფეხისადგილებში იყო გადამალული.

ვიპოვეთ აგრეთვე დიდი კონტრრევოლიუციონური მიწერ-მოწერა პატრიარქ ტიხონთან და საბჭოთა ხელისუფლების სხვა გამოჩენილ მოწინააღმდეგეებთან.

უბრალო ბერებმა გადამალული განძეულობის შესახებ არაფერი იცოდენ, განძეულობის აღმოჩენამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მათ შორის, მით უფრო, რომ ზოგიერთი მათგანი სიმშილით მოკვდა შარშან იმ დროს, როცა უფროსი ბერები განცხრომით სცხოვრობდენ“.

ელექტროფიკაციისათვის

მოსკოვი, 4 იანვ. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ ენერგეტიკის სექციის გამგე პროფესორი გორევი შეეხო მიღწევებს და პერსპექტივებს საელექტროფიკაციო მუშაობაში. მან „ვოლხოვსტროის“ მდგომარეობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„სადგური გაიხსნება 1926 წლის დასაწყისში. შესრულებულია მუშაობის 70 პროცენტი. ეხლა სწარმოებს ჩქარი ტემპით საკაბელო ქსელის გაკეთება და მასთან ლენინგრადის მრეწველობის მთავარი დარგების შეერთება ახალი ენერგიის მისაღებად. ეს საშუალებას მოგვცემს შეუერთოთ ქსელს უდიდესი ქარხნების ჯგუფი, რომლის სადგურების საერთო ძალა უდრის 80.000 კილოვატს. სამრეწველო ტარიფის შემცირება 2 ნახევარჯერ (3 ნახ. კაპ. 9 კაპეიკის მაგიერ) მტკიცე ფეხზე აყენებს ჩვენს ძირითად პროლეტარულ ციტადელს — ლენინგრადის მრეწველობას, უზრუნველჰყოფს მის განვითარებას და აღორძინებას. მისი პროდუქციის ფასი საგრძნობლად შემცირდება.

საბჭოთა სომხეთში

(დეპეშით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

3 იანვარს ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარემ ცხაკაიამ, იაკუბოვმა, ხანოიანმა ინახულეს ლენინის სახელობის მარილის სამრეწველოები ნახიჩევანიდან 12 ვერსის დაშორებით, სადაც მუშაობს 64 კაცი.

კრებაზე მუშები ხაზს უსვამდენ, რომ დამყარებულია ძმური ურთიერთობა სომეხ და თათარ მუშათა შორის, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რაც გამოიხატა იმაში, რომ თვეში ამოღებულია 50 ათასი ფუთი მარილი. მისასალმებელი სიტყვა სომხურ ენაზე წარმოსთქვა ხანოიანმა, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევანი. ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს სახელით მუშებს მიესალმა შრომის სახ. კომისარი იაკუბოვი, რომელიც დეტალურად გაეცნო მუშათა ყოფა-ცხოვრებას, ხელფასის ნორმებს და შრომის ნაყოფიერებას. საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა მიხა ცხაკაიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა მუშებს სამრეწველოების აღდგენისათვის. სამრეწველოების წითელმა დირექტორმა აღუთქვა საოლქო ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ენერგიულად იბრძოლებენ მრეწველობის აღსადგენად და მუშებში ლენინიზმის იდეის გასავრცელებლად. სამ „შტოლნას“ დაერქვა ცხაკაიას, იაკუბოვის და ხანოიანის სახელი. უკანასკნელები არჩეული იქნენ საპატიო მუშებად. ნახიჩევანში დაათვალიერეს ბამბის გასაწმენდი ქარხანა, სადაც იაკუბოვმა აღნიშნა ზოგიერთი ტექნიკური დეფექტები, შემდეგ ინახულეს ქალების სემინარია თათარ-ქალთათვის და სომხური სკოლა. საღამოს გაიმართა რკინისგზელების კრება, რომელზედაც ცხაკაიამ გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტის და ჩვენი ამოცანების შესახებ. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ხანოიანმა და იაკუბოვმა. მუშების წარმომადგენლებმა მადლობა გამოუცხადეს მომხსენებლებს სპარსეთის მოსაზღვრე პუნქტების ნახვისათვის. 5 იანვარს ამიერ-კავკასიის ცაკის წევრები ჩავიდიდნენ კაპაკლიაში.

ქარბუქი ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე

აღმოსავლეთის ხაზზე.

4 იანვარს საღამოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბაქოს ხაზზე კვლავ ამოვარდა ქარბუქი ძლიერი ყინვით. ღამის 12 საათზე ბალაჯარი-ქიურდამირის გადასარბენი დაფარა თოვლმა და მიმოსვლა შესწყდა. გაგზავნილი თოვლის წმენდელი ჩაეფლო თოვლში. მატარებელი № 4 გაჩერებულია სუმხაიტში, მატარებელი № 21 გაჩერებულია ბალაჯარაში. ქარბუქმა მთელი ღამე გასტანა. 5 იანვარს დილით 8 საათზე შესაძლებელი გახდა ბალაჯარა-სუმხაიტის ხაზის გაწმენდა თოვლიდან და მიმოსვლის აღდგენა.

დასავლეთის ხაზზე.

დასავლეთის ხაზზედაც ღამით მძვინვარებდა ქარბუქი. ხაშურის და გომის გადასარბენი დაფარულია თოვლით. დილისათვის შესაძლებელი გახდა გზის გაწმენდა, მაგრამ ის კვლავ დაფარულ იქნა თოვლით. სურამის მთაზე მიმოსვლა შეჩერებულია. ბორჯომი-ხაშურის უბანში შეჩერებულია მოძრაობა ნაბუქარის გამო.

კახეთის ხაზზე სად. ვაზიანის მახლობლად თოვლში ჩაეფლო მატარებელი № 4. მისაშველებლად გაგზავნილმა თოვლის მწმენდელმა დაძრა მატარებელი. ყოველგან სწარმოებს საჩქარო მუშაობა გზების გასაწმენდად.

საჰაერო ფლოტის მეგობრობა

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მეოთხე საქალაქო რაიონულ საბჭოს მუშაობა თბილისში

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების სრულიად საქართველოს ყრილობამ, რომელიც შესდგა ოქტომბერში, აუცილებლად სცნო, პირველ საფეხურის უჯრედების ხელმძღვანელობის უფრო მიზანშეწონილად მოწყობისათვის შეიქმნას რაიონული გაერთიანებები სამაზრო საბჭოების პრინციპის მიხედვით.

1925 წელს 1 იანვარს მოხდა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების რაიონულ საბჭოების არჩევნები და თბილისი დაყოფილ იქნა ოთხ რაიონად.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ უჯრედების დათვალიერება მომხდარიყო ადგილობრივ, გამორკვეული ყოფილიყო პირველი საფეხურის ორგანიზაციების მდგომარეობა და მუშაობა. დათვალიერებიდან გამოირკვა, რომ საქმე ვერ არის კარგად დაყენებული. ადგილებზე არ ხდება წევრთა აღრიცხვა, სრულებით არ მოიპოვება წევრთა სიები, არ არის აგრეთვე უჯრედების ბიუროების პრეზიდიუმები ზოგიერთ დაწესებულებებში, არც კი ყოფილა წაკითხული არც ერთი მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის და საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ამოცანების შესახებ. დღემდე არსებულ რწმუნებულებს, რომლებიც სექტემბრის შემდეგ გაუქმებულად ითვლებიან, არ სცოდნიათ თავიანთი მოვალეობანი და არ ჰქონიათ კავშირი მაღლა მდგომ ორგანიზაციებთან. ეს უდიდესი ნაკლია რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ხელახალ რეგისტრაციაზე გამოცხადდა თბილისის მეოთხე რაიონში 44 უჯრედი, რომლებიც აერთიანებენ 66 დაწესებულებას. მათ შორის ხელახალ რეგისტრაციაში გატარდა 35 უჯრედი 702 წევრით, წაკითხული იქნა 8 მოხსენება. გავრცელებულია: 45 პლაკატი, 12 ბროშიურა, 6 ჟურნალი. საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ გამართულ იქნა 1 წარმოდგენა. სულ ფულად შემოსულა 905 მან 7 კაპ.

მუშაობას აფერხებდა პირველ ყოვლისა მომხსენებლების სიმცირე და მეორეთ უჯრედთა მდივნების კრებების მოწვევის სიძნელე.

მომავალი მუშაობისათვის დასახულია შემდეგი გეგმა: 1) გაძლიერებული იქნეს ძველი წევრების ხელახალი რეგისტრაცია, რომელიც უნდა დამთავრდეს 15 იანვრისათვის და საზოგადოების რიგებში ჩაბმული იქნენ ახალი წევრები. 2) გახსნილ იქნეს რაიონული ავიოკუთხე ვ. ი. ლენინის გარდაცვალების დღეს, გახსნის დღეს წაკითხულ იქნეს ლექციები ავიაციის შესახებ რაიონულ მასშტაბით, 3) მოხდეს აქტიურ წევრთა აღრიცხვა და მოგვარებულ იქნეს კავშირი პრესასთან. 4) მოხდეს უჯრედთა პრეზიდიუმის არჩევნები, გაღრმავებულ იქნეს მუშაობა ადგილებზე, დაჭერილი იქნეს ადგილებთან ცოცხალი კავშირი. 5) აყვანილ იქნეს აღრიცხვაზე ყველა კომკავშირელთა და პიონერთა ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ავიო-სპორტში და ავიო-წრეებში და ჩაბმული იქნენ მუშაობაში ახალი ორგანიზაციები.

ყველა დასახული ამოცანები განხორციელებული იქნებიან სავსებით მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ სრულ დახმარებას აღმოუჩენენ ამას ყველა წევრები და ორგანიზაციები.

საჰაერო ფლოტის თვითეულ მეგობარს, საბჭოთა საქართველოს ყოველ მშრომელს უნდა ახსოვდეს, რომ 1925 წლის 14 ივლისისათვის—ავიაციის დღესასწაული დღისათვის მთელს საბჭოთა საქართველოში უნდა ითვლებოდეს საზოგადოების 100.000 წევრი.

ნ. ლ.

საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობა

ყრილობის გახსნა

კვირას, დილით საოპერო თეატრში გაიხსნა საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობა. ყრილობა გახსნა ამხ. **მიხა კახიანმა**, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა დელეგატებს.

ამ ყრილობას, — სთქვა ამხ. კახიანმა, — აქვს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა. მასწავლებლობამ დღეს უნდა სთქვას თავისი სიტყვა, მან უნდა საბოლოოდ გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასა და პარტიისთან.

ვიდრე ყრილობა მუშაობას შეუდგებოდეს, — განაგრძობს ამხ. კახიანი, — თავისი პირველი სიტყვა უნდა უძღვნას ამხ. ლენინს, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა სახალხო განათლებას და სახალხო მასწავლებელს. (ყრილობა ფეხზე ადგომით იგონებს ამხ. ლენინის ხსოვნას). სიტყვის დასასრულ ამხ. კახიანი უსურვებს ყრილობას საქმიანს და ნაყოფიერ მუშაობას.

პრეზიდიუმის არჩევა

ამხ. **ნინიკაშვილის** წინადადებით ყრილობის მიერ პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: კახიანი, ორახელაშვილი მარიამ, შავერდოვა, გეგენავა, ქაცარავა, ირემაძე სულეიმან (აჭარისტანიდან), ბიბარია (აფხაზ.) გაბისოვა (ოსეთიდან), დევდარიანი გიორგი (ქუთაისიდან), ხელაძე (ოზურგეთიდან), გოგიავა, ბუკია (სენაკიდან), პროფესორი შალვა ნუცუბიძე, გულბანი (რაჭა-ლეჩხუმიდან), ხუციშვილი (სიღნაღიდან), გულისაშვილი (თბილისის მაზრიდან), წერეთელი ვანო (შორაპნის მაზ.), მამედოვი (ბორჩალოს მაზ.), სირაძე მალაქია (თბილისიდან), ავეტისიანი და დარახველიძე (ახ. კომ. კავშირიდან).

საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო თავმჯდომარეებად ყრილობა ერთხმად ირჩევს ამხ. ამხ. ფ. მახარაძეს, მ. ცხაკაიას, მამია ორახელაშვილს, ს. ორჯონიკიძეს, შ. ელიავას ა. მიასნიკოვს, მ. ოკუჯავას, დ. კანდელაკს, გ. ყურულაშვილს, ს. სტალინს, კრუპსკაიას, ა. ლუნაჩარსკის და კოროსტელოვს.

დღის წესრიგი

დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი, რომელშიაც შედიან შემდეგი კითხვები:

1. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევანი და საბჭოთა აღმშენებლობის უახლოესი ამოცანები. მომხ. მამ. ორახელაშვილი.
2. მასწავლებლობა და კომპარტია — მომხ. ფ. მახარაძე.
3. განათლების ამოცანები საბჭოთა აღმშენებლობაში — მომხსენებელი მარიამ ორახელაშვილი.
4. მასწავლებლობა და პროფმოძრაობა — ყურულაშვილი.
5. მასწავლებლობა და ახკომკავშირი — კაკულია.

მისალმებანი

სამდივნოს და სამანდატო კომისიის არჩევნებს შემდეგ იწყება მისალმებანი.

საქართველოს სახ. კომ. საბჭოს სახელით ყრილობის მიმართ მისასალმებელ სიტყვას ამბობს

ამხ. შ. ელიავა

რომელიც სხვათაშორის აღნიშნავს შემდეგს: ოქტომბრის რევოლიუციამ ორ დიდ მებრძოლ ბანაკად გაჰყო კაცობრიობა: საბჭოთა კავშირის განთავისუფლებულ მშრომელთ ემტერებიან მოსისხლე კლასიური მტრები — ბურჟუაზიული ქვეყნები.

მოწინააღმდეგე ჩვენზე უფრო მდიდარი, მრავალრიცხოვანი და შეიარაღებულია, მაგრამ ძირაგანი წინააღმდეგობა და უთანხმოება, რომელიც ღრღნის და არღვევს მათ ერთობას, საშუალებას არ აძლევს მათ დაამხონ მშრომელთა ციხე-სიმაგრე — საბჭოთა კავშირი, სადაც არ არსებობს ეს შინაგანი წინააღმდეგობა — უთანხმოება. ჩვენი მიზანი უნდა იქნეს, მომავალშიაც არ დაირღვეს ერთსულოვნება მშრომელთა ოჯახში, ამისათვის კი საჭიროა ორი მთავარი ამოცანის გადაჭრა: 1) მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცება და 2) ეროვნული სოლიდარობის გაღრმავება. მასწავლებლობას, რომელიც ყველაზე ახლო სდგას გლეხთა ფართო მასებთან, შესწევს ძალა და უნარი სოფლის მშრომელთა გათვითცნობიერებით მტკიცე საფუძველი დაუდვას სოფლის და ქალაქის მშრომელთა ერთიანობას. იგივე მასწავლებლობა უნდა გახდეს ეროვნული სოლიდარობის გამტარებელი საქართველოში, რომლის სინამდვილეს ახასიათებს მრავალეროვანი მოსახლეობა. აქეთკენ მოუწოდებს მასწავლებლობას ხელისუფლება და პარტია.

დეე მასწავლებელთა ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდეს ამ ნიშნის ქვეშ, რომ საქართველოს სოფელს დაუბრუნდეს ამ ორი დიადი მიზნით გამსჭვალული მასწავლებლები.

ამხ ელიავას სიტყვა მქუხარე ტაშით იფარება.

საბჭოთა სომხეთის მასწავლებლობის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. **ტერ-პოღოსიანი.**

შემდეგ სიტყვას ამბობს საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი პროფ. **შალვა ნუცუბიძე**, რომელიც აღნიშნავს რა ქვედა საფეხურის და უმაღლეს სასწავლებლების დანიშნულების ერთდაიგივეობას, ახასიათებს საქართველოს სახელ. უნივერსიტეტის დღევანდელ მდგომარეობას. საქ. უმაღლესი სასწავლებელი რომ ერთი საუკეთესო უნივერსიტეტთაგანია საბჭოთა კავშირში, ამბობს პროფ. ნუცუბიძე, მოჰყავს მრავალი ფაქტი, რომელთაგან იგი აღნიშნავს მხოლოდ ორს. როდესაც საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ინახულა საბჭოთა რუსეთის განათლების სახ. კომისარმა ამხ. ლუნაჩარსკიმ, სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში მან სამუშაოზე მოუსწრო მოსკოვის ერთს ცნობილს მეცნიერს, რომელიც ლაბორატორიას საგანგებოდ ეწვია თავის ცდების შესამოწმებლად.

ჩვენი უნივერსიტეტის ხმა გაისმა აგრეთვე ნეაპოლიტანის უნივერსიტეტის 700 წლის იუბილეზე, სადაც მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა წარმომადგენელმა.

საქარ. უმაღლესი სასწავლებელი მხურვალე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო მეცნიერულ კონგრესებზე.

კანადაში მიწვეულ მათემატიკოსთა მსოფლიო კონგრესზე მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მოხსენება გააკეთა პროფ. **რაზმაძემ**, რომელმაც მიიპყრო კონგრესის ყურადღება.

ეს ფაქტები ღაღადებენ მაზე, რომ საქართველოს უნივერსიტეტი სდგას თავის სიმაღლეზე, რომ უნივერსიტეტს შესწევს უნარი ღირსეულად დაამთავრებინოს განათლება თქვენი ხელიდან გამოსულ ახალგაზრდებს.

იხდება მეორე ფარდა და სცენაზე შემოდიან ნორჩი **პიონერები**, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით ხვდება. ერთი პიონერთაგანი მგზნებიარე სიტყვით მიმართავს დელეგატებს.

პრეზიდიუმის სახელით საპასუხო სიტყვას ამბობს ამხ. **გულისაშვილი**, რომელიც მოუწოდებს ახალგაზრდებს მუდამ მზად იყვნენ მომავლისათვის. — მუდამ მზად [illegible] ერთხმად [illegible] რაზმები.

შესვენების [illegible] შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. **მამია ორახელაშვილს.**

საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები

(მოხსენება ამხ. მამია ორახელაშვილი)

მომხსენებელი შესავალში ეხება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს. 1921 წელს მომხდარი მდგომარეობა, ამბობს მომხსენებელი, არ იყო მხოლოდ ერთი მთავრობის მეორე მთავრობით შეცვლა. ეს იყო აქტი, რომელმაც რადიკალურად შესცვალა წყობილების პოლიტიკურ-სოციალური საფუძვლები — და ხელისუფლებას დაუპატრონა მშრომელი კლასი.

დღეს უკვე ცხადია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შეიქმნა იმ მიზნით, რომ იგი გამოეთიშათ საბჭოთა რუსეთისა და სოციალისტურ რევოლიუციიდან.

აბსოლიუტური თავისუფლება არც ყოფილა და არც შეიძლება იყოს, ხოლო რას უქადდა საქართველოს, „თავისუფლება“ ანტანტის ორიენტაციით? უპირველესად, — იგი გადაიმტერებდა თავის ახლობელ მეზობლებს და მათ შორის ახალ ოსმალეთსაც, რაც მთელ ამიერ-კავკასიას გადააქცევდა ბალკანეთის მეორე ჯოჯოხეთად. ხოლო უდავოა ისიც, რომ ა.-კ. ერებთან დაძმობილებამ და საბჭოთა კავშირში შესვლამ საქართველოს შეუქმნა საუკეთესო პირობები აღორძინებისათვის. საუკეთესო პასუხი კითხვაზე, თუ რა წააგო საქართველომ საბჭოთა კავშირში ყოფნით, არის ეს საბუთი (მომხსენებელი კითხულობს ინგლისის ტრედიუნიონთა დელეგაციის დეკლარაციას საქართველოს შესახებ).

შემდეგ მომხსენებელი გადადის საქართველოს სამეურნეო მდგომარეობის დახასიათებაზე. მომხსენებელი ციფრობით ამტკიცებს, თუ რამდენად წინ წავიდა საქართველო სასოფლო მეურნეობის და ქალაქის მრეწველობის ყოველ დარგში. გაიზარდა სახნავ-სათესი მოედანი, ფეხზე წამოდგა თამბაქოს კულტურა, აღორძინების გზას დაადგა ჩაის, ბამბის კულტურა და მეაბრეშუმეობა. საქართველოს ყოველი კუთხე დაიქსელა ახალ-ახალი სარწყავი არხებით, ავჭალის და რიონის ელსადგურების დაწყებით საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის ელექტროფიკაციის და მსხვილ ინდუსტრიალურ მრეწველობას, სოციალური დაზღვევა ვრცელდება ყველა მუშა-მოსამსახურეებზე ისე, რომ მისი ჯიბიდან დაზღვევაზე კაპეიკი არ იხარჯება.

სახალხო განათლებას ექცევა უმთავრესი ყურადღება; სახელ. ბიუჯეტის 55 პროც. იხარჯება განათლებაზე. გარდა ამისა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან განათლებას ეთმობა 2 მილიონი მანეთი.

ამ 4 წლის განმავლობაში გამოცემულია 1.214.000 ცალი წიგნი.

გაეროვნებულია აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებები, სადაც მუშა-მოსამსახურეთა 72 პროც. წარმოადგენენ ქართველები.

შემდეგ მომხსენებელი მოკლეთ ეხება მასწავლებელთა ამოცანებს დღევანდელ პირობებში და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მასწავლებლობა ხელისუფლებასთან და პარტიასთან ერთად გააღრმავებს უკვე დაწყებულ კულტურულ განმანათლებელ მუშაობას.

ამხ. მამიას სიტყვას ფარავს ხანგრძლივი ტაში. სხდომა შეწყდა საღამოს 6 საათზე.

საღამოს სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. გეგეჭკა. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. ფ. მახარაძეს, რომელსაც ყრილობა ოვაციებს უმართავს.

მასწავლებლობა და კომპარტია

(ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება)

მომხსენებელი ეხება იმ მიზეზებს, რომელთაც ერთი მეორეს ჩამოაშორეს მასწავლებლობა მშრომელთა ხელისუფლებას და კომპარტიას.

ყალბი შეხედულება პროლეტარიატის დიქტატურაზე, მასწავლებელთა უმრავლესობის მხრივ, მისი ცუდი მატერიალური მდგომარეობა, პედაგოგიური აღზრდის ძველი ტრადიციები, საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის გაუგებლობა იყო უმთავრესი მიზეზები იმ დიდ გაუგებრობის, რომელიც არსებობდა მშრომელთა წიაღიდან გამოსულ სახალხო მასწავლებლობის ერთი მხრივ და ხელისუფლების და პარტიის შორის მეორე მხრივ. დღეს ეს უნდობლობის და განზე გადგომის ყინული გალღვა და მასწავლებლობა უახლოვდება თავის ბუნებრივ მოკავშირეს — მშრომელთა მთავრობას და პროლეტარიატის ხელმძღვანელ პარტიას, რომელთა მიერ დღეს გაჩაღებულია დიდი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. ახალი თაობის ახალ პრინციპებზე აღზრდა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ბრძოლა ცრუმორწმუნეობასთან, სოფლად კულტურული მუშაობა — აი რა არის ჩვენი საქმიანობის მთავარი საგანი. მასწავლებლობა, რომელიც დროის შესაფერისად გარდაქმნის თავის თავს, გვერდში უნდა ამოუდგეს პარტიას და დაეხმაროს მას ამ დიდ ამოცანების გატარებაში.

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენებას მასწავლებლობა ერთსულოვანი ტაშით ეგებება.

კამათი მოხსენებათა გარშემო გადაიდო მეორე დღისათვის.

სხდომის დასასრულს მასწავლებლობისათვის დაიდგა ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

ხუთი იანვრის სხდომა

დილის სხდომაზე ამხ. მახარაძის და ორახელაშვილის მოხსენებები გადაითარგმნა რუსულად.

შემდეგ მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი, რომელიც გრძელდებოდა საღამოს კრებაზედაც.

ოთხშაბათს, 7 იანვარს დილის ზუსტ 10 საათზე
რუსთაველის თეატრში მოხდება

საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობის დახურვა.

დასასრულ წარმოდგენილი იქნება
„მათრახის პანაშვიდი“.
მოწვეულია თბილისის მთელი მასწავლებლობა.
შესვლა საწევრო წიგნაკებით.

პარტიული ცხოვრება

სამხედრო კომისარიატის სტამბის პირველ კომუჯრედში

ამ ჟამად უჯრედში ითვლება 14 წევრი, და 17 კანდიდატი. უჯრედი თანდათან იკრებს თავის გარშემო უპარტიო მუშების მთელ აქტივს. წერა-კითხვა იცის უჯრედის ყველა წევრმა მაგრამ მოისუსტებს წევრთა პოლიტიკური მომზადება, განსაკუთრებით პარტიაში ახლათ მიღებულთა შორის.

ბიუროს მუშაობა.

უჯრედის ბიუროში შედის ხუთი წევრი და ორი კანდიდატი. ამათში ერთი წარმომადგენელი ა. ლ. კ. კ უჯრედიდან. საანგარიშო დროის განმავლობაში ბიუროს ჰქონდა ექვსი სხდომა, გარჩეულია 10 საკითხი, ბიუროს თვითეულ სხდომაზე ქალთა შორის მუშაობის საკითხს პირველი ადგილი ეჭირა.

ამ ბოლო ხანებში მოსმენილი იქნა გეგმა ქალთა შორის მუშაობის შესახებ რის შემდეგ ქალთა შორის მუშაობის კომისიას დაევალა სისრულეში მოიყვანოს გამომუშავებული გეგმა.

სხვათაშორის ბიუროს სხდომაზე მოწვეული არიან უჯრედის წევრებიც იმ მიზნით, რომ ისინი გაეცნონ ბიუროს მუშაობას. უჯრედის ბიურო საერთოდ კონტაქტში მუშაობს სამხედრო კომისარიატის სტამბასთან არსებულ ყველა კომისიებთან.

მუშაობა უჯრედში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უჯრედს ჰქონდა სულ ექვსი სხდომა, აქედან სამი ღია იყო რომელზედაც მოწვეული იყვნენ ა. ლ. კ. კ. წევრები და კანდიდატები.

უჯრედის წევრებიდან სხვადასხვა სკოლებში გაგზავნილია 18 ამხანაგი ამას გარდა 10 უპარტიო ამხანაგი. უჯრედის ყველა წევრები ასრულებენ ამა თუ იმ სამუშაოს.

კულტკომისიის მუშაობა.

კულტკომისია კარგად მუშაობს. მან დაარსა ლენინის კუთხე ამასთანავე მოწყობილი იქნა სამკითხველო, გამოიცა კედლის გაზეთი — „მბეჭდავთა ცხოვრება“-ს სახელწოდებით.

ამასთანავე უჯრედის წევრთა შორის დიდი მოთხოვნილებაა სხვადასხვა წრეების და კურსების დაარსებისა, მაგრამ სათანადო ხელმძღვანელ ძალების უქონლობის გამო, საქმე ამ მხრივ ფერხდება. კულტკომისიის მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი ამ ჟამად სწორედ აქეთკენ არის გადატანილი, რათა დაძლეულ იქნეს ეს დაბრკოლება და მით კულტურული მუშაობაც გამოცხოველდეს.

დ. წერეთელი.

ქალთა შორის მუშაობა საგარეჯოში

საგარეჯოს კომუჯრედმა ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების მიმართულებით. ყოველ კვირაობით ამხ. მიშა სადაგიშვილის და ანნა ბალდადაშვილის ინიციატივით იმართება ადგილობრივ სკოლის შენობაში ქალთა კრებები, რომელსაც მრავალი მშრომელი ქალები ესწრება. ამ კრებებზედ იკითხება მოხსენებები პოლიტიკურ თემებზედ და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ასეთი მაგალითი მისაბაძია.

ვ. გ—ლი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ახკომკავშირელების საყურადღებოდ

საქ. ახ. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი გაცნობებთ, რომ თანახმად თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის და ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებისა გასულ წლის 31 დეკემბრის თარიღით, თბილისის კომიტეტი სწყვეტს თბილისის ორგანიზაციაში ჩამოსულ კომკავშირელთა აღრიცხვაზე აყვანას, რომლებიც ჩამოვლენ მასთან გარეშე წინასწარ თანხმობისა, გარდა იმ ამხანაგებისა რომლებიც მოდიან სამსახურის ადგილზე ან სასწავლებელში.

თბილისის კომიტეტის მდივანი:
მეტონიძე.
საღრიცხვო განყოფილების გამგე:
კარპოვი.

კომკავშირის მუშაობა ტყვიავის რაიონში

(გორის მაზრა)

აღნიშნულ რაიონში შედის 17 უჯრედი 295 წევრით.

კომკავშირს რაიონის მასშტაბით აქვს 7 კლუბი და 8 ქოხ-სამკითხველო. ცენტრალურ კლუბში, გარდა თეატრალური მუშაობისა, იკითხება აგრონომიული ხასიათის ლექციები.

ადგილობრივად კომკავშირის უჯრედებს კოლექტიურად აქვთ დამუშავებული 10 დეს. მიწა და 4 დეს. ბაღი. აქედან მიღებული ნაყოფი ხმარდება სკოლებს, კლუბებს და სამკითხველოებს.

ამ ბოლო დროს კომკავშირის უჯრედებში ჩატარდა კამპანია კოოპერაციის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღების შესახებ. 75 პროც. კომკავშირლებისა დღეს უკვე კოოპერაციის წევრებად ირიცხებიან და შორს არ არის ის დრო, როდესაც სავსებით გავატარებთ ცხოვრებაში ლოზუნგს „არც ერთი კომკავშირელი კოოპერაციის გარეშე“.

აქ უნდა ითქვას ისიც, რომ კომკავშირმა თავისი ენერგიული მუშაობით აიმაღლა ავტორიტეტი უპარტიო გლეხობაში. ამის დამამტკიცებელია ახალგაზრდა გლეხ ქალების ლტოლვა ჩვენს რიგებისაკენ. დღემდე თუ არ იყო ჩვენს ორგანიზაციაში არც ერთი ქალი, ამ ჟამად კი ითვლება 55 ამხ. და კიდევ მრავალს აქვს შემოტანილი განცხადებები კომკავშირში მიღების შესახებ.

უჯრედთან არსებობს აგრეთვე პროფ-კოლექტივიც, რომლის საშუალებითაც ტარდება ერთიანი კავშირის დღე. შრომის სკოლებთან კი დაარსებულია ორი ბავ. ქ. ჯგ. კოლექტივი, რომელსაც სათანადო ხელმძღვანელობას უწევს კომ. კავშირი.

ვრცელდება 50 ცალი „სპარტაკი“, და 50 ცალი „წითელი ქართლი“.

ჩვენი უჯრედები ხშირად ეხმარებიან ქვრივ-ობლებს და ინვალიდებს მიწის დამუშავებაში.

ვ. ბილაშვილი.

მუშათა ცხოვრება

ვფიქრობ, ბოროტებაა

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

თითქმის ყველა კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებში დგას დღეს საკითხი ეკონომიის, სახელმწიფო სიმდიდრის უნაყოფოდ ხარჯვის თავიდან აცილების შესახებ. მუშათა და გლ. ინსპექცია ენერგიულად იკვლევს, ძიებს ამ სფეროში ბოროტებას, ბოლო უკანასკნელს მაინც აქვს ადგილი, და აქვს სრულიად ცხადათ, დაუდევრობით. აიღეთ თუ გინდ ელექტრონის ენერგიის ხარჯვა. რომელი დაწესებულებაც არ უნდა იყოს, კერძო თუ სახელმწიფო, აუცილებლად აქვს ადგილი უნაყოფოდ ელექტ. ენერგიის ხარჯვა—წვას. ხშირად, და ზოგში მუდმივ, ანთია დღე და ღამ ელექტ.-ლამპები, რაიც საჭიროებით კი არა დაუდევრობით არის გამოწვეული. სახ. დაწესებულებები თუმცა „სჩოტჩიკ"-ით სარგებლობენ, მაგრამ მაინც სახელმწიფო ფულით უსწორდებიან სადგურებს.

ფხიზლად-ფრთხილად უნდა მოეპყრან თვით სადგურები ამ საკითხს. მეტი ეკონომია, რომ მით წინ დავწიოთ ჩვენი მეურნეობა, ავიცილოთ თავიდან ეს ბოროტება.

მუშკორი იმედი.

აუცილებლად უნდა მისცეთ

(მთავარ სახელოსნოების ადგილკომის საყურადღებოდ).

რკინ. გზის მთავარ სახელოსნოებში წელზე მეტია, რაც გამხურებლები ყოველ თვიურად ღებულობენ ერთ სამ მეოთხედ გ. საპონს. მაგრამ მემანქანეები და მათი თანაშემწეები კი მხოლოდ 3 მეოთხედ გირვანქას, მიუხედავად იმისა, რომ ის განკარგულება № 825, რომლის ძალით გამხურებლები ღებულობენ საპონს ვრცელდება მემანქანეებზედ და მათ თანაშემწეებზედაც.

ადგილკომო, გაგვიწიე დახმარება და ჩვენც მოგვეცით ჩვენი ხვედრი საპონი.

მუშა ხიონელი

შეკითხვა მუშკოოპის გამგეობას

მთლიან მუშათა კოოპერატივში ეს რამდენიმე წელია ღამის დარაჯის მოვალეობას ასრულებს ძველი მუშა და პარტიული ამხანაგი ნ. კიკნაძე. იგი პროფესიით მზარეულია და ხანში შესულიც.

საინტერესოა ვიცოდეთ, ეს ყოვლად პატიოსანი მუშა რატომ არ გადაჰყავთ თავის სპეციალობაზედ მზარეულად რომელიმე სასადილოში, სადაც მას მეტის გაკეთება და სარგებლობის მოტანაც შეუძლიან, ვიდრე დარაჯად იდგეს იგი.

მუშკორი აკოსტა.

მუშის წერილები მიზანს აღწევენ

ბევრი ხანი არ არის მას აქეთ, რაც გაზეთ „კომუნისტი"-ს ერთ-ერთ ნომერში იყო მოთავსებული წერილი იმის შესახებ, რომ კინო „არფასტო"-ში ფასები დიდი იყო და ჩვენი მუშები თითო სერიებზეც ვერ ძლებდნენ შესვლას. ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით კინო „არფასტო" 1 და 2-რე სერიას ეხლა ერთად აჩვენებს, რათა მუშებმაც შესძლონ კინო სურათების ნახვა უფრო შეღავათიან ფასებში.

მუშკორი ი. ჯ.

მოგვაშორეთ თავხედი ადამიანი.

(იუსტიციის სახალხო კომისარიატის საყურადღებოდ).

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში მსახურობს მდივნის თანაშემწის თანამდებობაზე გიორგი სოლომონის-ძე არჩუაშვილი, რომელიც ამ ჟამად ასრულებს დროებით მდივნის მოვალეობას. ხსენებულ ვაჟბატონმა იგრძნო თუ არა ცოტა ამაღლება თანამდებობის დაიწყო სასტიკი მოპყრობა ამხანაგების მიმართ, ხსენებული არჩუაშვილი ამხანაგებს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „მე შენ გაგაგდებ". „მე შენ დაგითხოვ, შენ ძალიან თავი აიშვი, თავისუფლად გრძნობ თავსა, მაგრამ მე შენ ეშმაკებთან გაგაგზავნი"-ო და სხვ.

ასეთი უკანასკნელი სიტყვების ხმარება შეუძლია. მხოლოდ წარსული დროის მოთაყვანე პიროვნებას. ჰგონია, რომ ის ამით საქმეს აკეთებს, ასწორებს, ის ამით მხოლოდ ზიანს აყენებს საერთო საქმეს და თვით თანამშრომლებში უკმაყოფილებას და საქმისადმი გულგრილობას იწვევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებული მდივანი მობრძანდება სამსახურში დილის 10 საათზე და ხშირად დაგვიანებითაც, ამის შემყურე და მასთან მყოფი მომუშავე ამხანაგები განიცდიან წარსული რეჟიმის დროსა.

საჭიროა, გაბიუროკრატებული „ჩინოვნიკი" ჭკუაზე მოიყვანოთ.

მუშკორი ტურია.

მოგვეცით დახმარება

(განათლების კომისარიატის საყურადღებოდ)

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკაში (კამოს ქუჩა) მეორე კურსის მსმენელთათვის მოსალოდნელია გვამებზე პრაქტიკული ვარჯიშობის შეჩერება უსახსრობის გამო. არც პროფესორს, არც სტუდენტობას არ აქვთ თანხა გვამების შეძენის, გადმოზიდვის და მათი სამარხისათვის. სტუდენტთა და პროფესორთა შორის გაღებულმა თანხამ არ იკმარა. საჭიროა ჯეროვანი დახმარება და ყურადღება.

სამ. ფაკ. კურსის კომიტეტის წევრი

იურიდიული დახმარება

(ამხ. მუშებს)

შეკითხვა:

მე, რკ. გზ. მოსამსახურე, მცხოვრები ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ, ტერესჩენკოს სახლი № 193 ში ვიმყოფები უკიდურეს მდგომარეობაში სახლის პატრონის ჯიუტობის გამო. მე მიკავია 25 კვ. არშინი და ვცხოვრობთ ხუთი სული: ვიხდი სათანადო ქირას, მაგრამ არა მაქვს ფარდული, რომ შემეძლოს დავაწყო შიგ სურსათი და შეშა იმ დროს, როდესაც სახლის პატრონს აქვს რვა ფარდული. გთხოვთ განმარტებას: 1) ვის მივმართო, რომ თოვლში და ყინვაში დაყრილი სანოვაგე შემეძლოს დავაწყო სათანადო ალაგას და მივიღო ფარდული; 2) შეუძლია თუ არა სახლის პატრონს და საერთოდ რომელიმე მოქალაქეს თივა და ბზე შეინახოს სახლის სხვენში როგორც ინახავს მოქ. ტერესჩენკო, რაიც ადვილად გამოიწვევს ცეცხლს.

მოქალაქე ტერესჩენკოსათვის არ არსებობს არც ადმინისტრაცია და არც კანონები იმის და მიუხედავად, რომ ამაზე იგი ღებულობდა წინადადებებს და მგონი დააჯარიმეს კიდეც. გთხოვთ განმარტებას.

რკ. გზ. მოსამსახურე კავშირის წევრი წიგნ. № 425.939.

პასუხი:

სახლის პატრონს არა აქვს უფლება თქვენ, როგორც მოსამსახურეს, კავშირის წევრს, მოგთხოვოთ ბინის ქირად იმაზე მეტი, რაც აღმასკ. დაწესებულია თქვენისთანა გადამხდელთა კატეგორიისათვის. თივის და ბზის შენახვა სხვენზე აუშვებელია. უნდა აცნობოთ მილიციას. შეშის დასაწყობი ადგილი თქვენ გეკუთვნით, თუ კი სახლს აქვს თავისუფალი ფარდულები. თუ სახლის პატრონი ჯიუტობს, მოითხოვეთ სახალხო სასამართლოს წესით.

პასუხი მუშა ვ. ს—ძე-ს

(იხ. „კომუნისტი" № 291)

ქ. ჯ. გ. საოფთიაქო სამმართველომ მიიღო ყოველივე ზომები, რომ თავის დროზე მიეწოდებინა დაზღვეულ მუშებისათვის საუკეთესო თევზის ზეთი. ამისათვის საოფთიაქო სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ს კობალაძე თვითონ გაემგზავრა ლენინგრადში და შეიძინა სამასი ფუთი საუკეთესო (ნორვეგიის) თევზის ზეთი, ფულიც გადაიხადა. ზეთი შეძენილია და გამოგზავნილი. გაცემულია განკარგულება, რომ სადგურებზე არ შეაჩერონ ზეთი სადმე. უნდა იცოდეს წერილის ავტორმა, რომ საოფთიაქო სამმართველო ვერ მიაწოდებს მუშებს გლახა ხარისხის ზეთს როგორც კერძო სპეკულიანტები. რაც შეეხება წითელი ჯვრის აფთიაქს, ეს შემთხვევითი მოვლენაა, თუ მან ვინმესგან ერთი ფუთი ზეთი შეიძინა. ასეთი შემთხვევა ჩვენც გვქონდა და მინდა მივუთითო წერილის ავტორს, რომ ოქტომბერში და ნოემბერში ჩვენც მივაწოდეთ ავადმყოფ მუშებს თევზის ზეთი, საჭიროების და გვარად.

მე ვიმეორებ, რომ საოფთიაქო სამმართველო არ ზოგავს თავის ენერგიას, რომ მუშებს რაც შეიძლება თავის დროზედ და კარგი ხარისხის წამლეულობა მიაწოდოს.

ქალ. აღმას. ჯანმრთ. განყოფილების საოფთიაქო სამმართველოს მინდობილებით.

ნადარეიშვილი.

წერილები პროვინციიდან

ზემო ხოდაშენი *)

(თელავის მაზრა)

ს. ზემოხოდაშენის თავში ათი ვერსის სიშორეზე ცივ გომბორის კალთებთან მდებარეობს უძვირფასესი საძოვარი ველი საქონლისა, რომელსაც ჩვენი გლეხობა უძახის ველებს (მარილის სიმლაშე).

ჩვენი საქონელი ვერ გასძლებს უველებოდ. აი ეხლა რას ხედავენ ჩვენი გლეხობა. იქვე სოფლის ღორათხევის მცხოვრები (ფშაველი) ილია ქეშიკაშვილმა გათხარა მინდვრის შუა-გულში მიწა ბოსტნისებური და შეკიდა შიგ საცხოვრებლად და დაუწყო მინდვრებს ხვნა, აგრეთვე მისმა მეზობლებმაც დაუწყეს მინდვრებს ხვნა.

ასე რომ ჩვენ გლეხობას აღარ უშვებენ საძოვრათ და ჩვენი გლეხობა ჰდგება რა თქმა უნდა და მიჰმართავს უმაღლეს მთავრობებს, მთავრობა ასე მალე ვერ აძლევს სწორ პასუხს. 1924 წელს მაისის დამლევს შეიკრიბა აღელვებული გლეხი და ამბობდა: ან ეს ორი კომლი ჩვენი საქონლის მტერნი ან და ჩვენ რაც მოგვივა მოგვივაო!

წავიდნენ აღელვებული გლეხები. მათ გამოედევნენ საბჭოს თავმჯდომარეები და აგრეთვე კომკავშირლები, რომ რაღაც დაუშვებელი საქციელი არ ჩაედინათ.

ბევრი დავიდარაბის შემდეგ დააბრუნეს უკმაყოფილო გლეხობა.

რამდენიმე კვირის შემდეგ გლეხობა ჰხედავს საქონლის დიდ-გაჭირვებას ადგებიან და ისევ ხელმეორეთ იკრიბებიან და იმეორებენ ზემოაღნიშნულ საქციელს. მაგრამ მათ ისევ ამოშმინებენ, ხელს უშლიან საბჭოს თავმჯდომარეები და კომკავშირლები მეორეჯერაც გლეხობა ბრუნდებიან უდანაშაულოთ.

მომავალ გაზაფხულისთვის ეს ორი კომლი აი რას სჩადის: ჰკრიან ქვას ამომდინარე მარილის სიმლაშეში, რათა დაიკარგოს და აღარ ამორეკონ გლეხობამ საქონელიო და დარჩეს მათ საკუთრივ. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ თუ ეს მოედანი 15 სოფ. გლეხობის საქონელს არ დარჩა, იძულებულები იქნებიან საქონლის მოშენებაზე ხელი აიღონ, ვინაიდან არ არის ისეთი მოედანი ამ სოფლებთან, როგორიც არის ველები.

უმაღლეს მთავრობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება მომავალ გაზაფხულისათვის, რომ გაანთავისუფლოს ილია ქეშიკაშვილისაგან ეს საძოვრის მოედანი.

ა. ჩიგილაშვილი.

---

* აღნიშნული კორესპონდენცია რედაქციამ განმარტების მისაღებათ გადაუგზავნა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, რომლისაგან-ც შემდეგი პასუხი მიიღო:

ამხ. ჩიგილაშვილის კორესპონდენცია, რომელიც ეხება საძოვარ ველის საკითხს, არ შედის სახელმწიფო საიჯარო საძოვარ ფონდში, არამედ არის ადგილობრივ ხელისუფლების განკარგულებაში. რაც შეეხება იმას, თითქოს დაინტერესებულ სოფლის გლეხების მიერ, აღძრულიყო საჩივარი ამ საკითხის შესახებ, არ შეეფერება სინამდვილეს. მიწათმოქ. სახ. კომისარიატში, ამის მსგავსი არაფერი არ ყოფილა არც პირადი და არც წერილობითი განცხადება. ეხლა რაც შეეხება საქმის სინამდვილეს კომისარიატი, როგორც მეთვალყურე გამოიკვლევს ამ საქმეს, რის შემდეგ იქნება მოგვარებული სამაზრო ხელისუფლებასთან შეთანხმებით.

მიწის მომ. გან. გამგე ი. ცვანია.

ბანძის რაიონი

(სენაკის მაზრა)

ბანძის რაიონში შედის სამი ვეებერთელა თემი. ამ თემებში უწინ არსებობდა ექვსი წიგნთ საცავ-სამკითხველო, საკმაო მდიდარი ლიტერატურით და საკუთარი შენობებით. სადაც მუშაობა კარგად იყო დაყენებული.

დღეს აგერ ერთი წელიწადი სრულდება მას აქეთ, რაც ეს სამკითხველოები გაუქმებულია და მთელი მათი სიმდიდრე უგზო-უკვლოდ დაფანტულია.

ადგილობრივი ორგანიზაციები და ამხანაგები სრულის დამშვიდებით უყურებენ ამ მოვლენას.

დროა გამოიღვიძონ სალათას ძილით შეპყრობილმა მუშაკებმა და მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება სამკითხველოების აღდგენის საქმეს.

წითელი შოლტი.

ნოჯიხევის თემი

(ზუგდიდის მაზრა, ხობის რაიონი)

მდებარეობა ამ თემისა ნახევარ მთაგორიანია და მეორე ნახევარი კი წარმოადგენს ვაკეს სახნავ-სათესი ადგილებით. მცხოვრებთა შემოსავალია ერთად ერთი წყაროს წარმოადგენს სიმინდი, მიწის დამუშავება სწარმოებს მამაპაპური წესებით. საჭიროა მოეწყოს საცდელი მინდვრები და გავრცელდეს კულტურული მცენარეები. სამაზრო აგრონომიული განყოფილების ინსტრუქტორები ხშირად უნდა იარებოდენ სოფლად და აწვდიდენ შესაფერ ცნობებს მიწის დამუშავების გაუმჯობესების შესახებ. არ კმარა ინსტრუქტორის მხოლოდ დაბა ხობში ან ზუგდიდში ქალაქად სიარული.

სოფლად გზები ძალზე გაფუჭებულია, რაც შეუძლებლად ხდის მისვლა-მოსვლას. მოწაფეობის სკოლაში სიარული, განსაკუთრებით ზამთარში, საცოდაობას წარმოადგენს. მეტი მზრუნველობა სჭირია ატალახებულ შარა-შუკების მოწესრიგებას.

სოფელ ნოჯიხევში არსებობს ერთი სკოლა, რომელზედაც ადგილობრივ მცხოვრებთ დიდი შრომა, ხარჯები და ენერგია აქვთ დახარჯული. ამ სკოლის დიდი ხის შენობა თავის შესაფერი ეზოთი მიზანშეწონილ ადგილზე ცნობილ მასწავლებელმა სპ. ჯორჯიკიამ სრულიად უსასყიდლოდ დაუთმო ნოჯიხეველებს ნიკოლოზის მთავრობის დროს. მას შემდეგ ამ სკოლამ დიდი სამსახური გაუწია საზოგადოებას. მენშევიკურ მთავრობის უთავო მოთავეებმა ეს ძვირფასი სკოლის შენობა უყურადღებობით ნანგრევად აქციეს, ასე რომ ამათ საყურადღებო დაწესებულებიდან სოფელს დარჩა მარტოდ მარტო საძირკვლები და რამოდენიმე კედლის ფიცარი. ამ ორი წლის წინეთ ზუგდიდის მაზრის სწავლა-განათლების წარმომადგენლებმა ამხ. ერასტო როდონაია და ი. გოგიამ შესაფერისი მეცადინეობით და მზრუნველობით კვლავ განუახლეს სოფელთ სურვილი სკოლის შენობის აღდგენის და სოფლის მშრომელმა ხალხმა კვლავ აამენა ბინა შვიდ წლიან შრომის სკოლისათვის.

ამ მიმდინარე წელში ეს სასწავლებელი გაკეთებულ იქნა ოთხ წლიანად მიუხედავად იმისა, რომ მოწაფეთა რიცხვი აღნიშნულ სკოლის ირგვლივ საკმაოზე მეტია. აქვე არის სამი მასწავლებელი, მათ შორის ერთი საზოგადოების ხარჯზე დაქირავებული. მუშური ინტელიგენცია ქალაქებში იხიზება, რაც არა სასურველად უნდა ჩაითვალოს. სოფლად აქვს გასავალი ათასნაირ ჭორიკანობას და სიცრუეს, რასაც უნდა აუცილებლად ბოლო მოეღოს.

საჭიროა სკოლის შენობაში ან სხვაგან შესაფერ ადგილს მიწის მუშებთან იმართებოდეს მოხსენებები, ლექციები და წარმოდგენები, რომ უკეთ გაეცნონ თავის საკუთარ მუშურ გლეხურ საბჭოთა მთავრობის განკარგულებებს და საქმიანობას.

შ. ჭ—კია.

მადლობა ერთგული სამსახურისათვის

დუშეთის მაზრის მილიციის მუშაობა

17 დეკემბერს შესდგა დუშეთის მაზრის რაიაღმასკომების და რაიპარტკომების გაფართოებული პლენუმი. მაზრაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბრეგვაძემ გააკეთა მოხსენება პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. შემდეგ გააკეთეს მოხსენებები ადგილებიდან.

პლენუმზედ აღინიშნა ის, თუ როგორი მუშაობა იყო შესრულებული მაზრის მილიციის მიერ ვერაგ ყაჩაღების დიანოზას და გურგენას შესაპყრობად, და თუ რა შედეგი მოიტანა მათ მუშაობამ. პლენუმმა მოისმინა რა მოხსენება მაზრაღმასკომის მუშაობის შესახებ, მუშაობა ჩასთვალა სრულიად დამაკმაყოფილებლად და უღრმესი მადლობა გამოუცხადა ქვემოჩამოთვლილ,—საბჭოთა მთავრობის ერთგულ და ლაუძინებელ გუშაგებს: 1) ნ. ბედიშვილს, 2) ს. ცოცხალაშვილს, 3) კ. გედევანიშვილს, 4) დ. მექვარიაშვილს, 5) ს. ლაფანაშვილს, 6) ა. მამორიშვილს, 7) ვ. პავლიაშვილს, 8) ალი სულეიმან ოღლის, 9) კ. ქურთიშვილს, 10) შ. ცაბალოვს, 11) ტ. ბუღალაშვილს, რომლებმაც არა ერთი და ორი სუსხიანი ღამეები გაათენეს უღრან ცივ ტყეებში, რომ მოეცილებიათ საზოგადოებისათვის ხსენებული მხეცები.

შ. ქიშმარეიშვილი.

სოფ. სიქთარუა (შორაპნის მაზრა)

(შორაპნის სამაზრო განათლების განყოფილების გამგის საყურადღებოდ)

ამ სოფელში არის ოთხწლიანი შრომის სკოლა, რომელშიდაც ასწავლის მოწაფეებს ოთხი მასწავლებელი. ერთი მათგანი არის ქალ. ქუთაისის მე-4-ტე შრომის სკოლის მე-9-რე ჯგუფის მოწაფე მოქ. კასიანე ცხადაძე. ეს ცხადაძე ერთსა და იმავე დროს მოწაფეც არის და კიდეც ასწავლის. ამ გარემოების წყალობით სოფ. სიქთარუას მოწაფეები ნახევარჯერ გაცდენილი არიან.

სოფ. სიქთარუა ქალ. ქუთაისზედ დაცილებულია 27 ვერსით. წარსული თვეების განმავლობაში ნახევარჯერ მიტოვებული ჰყავდა თავის მოწაფეები. მოქ. კასიანეს ნდომია ერთი თვის შვებულება, განათლების განყოფილებას არ მიუცია და თავი დაანება სასწავლებელს და მიატოვა მოწაფეები. კარგი იქნება შორაპნის სამაზრო განათლების განყოფილების გამგე მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას და დეტალურად გამოირკვევდეს ამ საქმის ვითარებას.

მუშკორი ა. დ. მათხოვჯელი.

პროვინციის ქრონიკა

— **ხიდი მდ. აბაშაზე.** სენაკის აღმასკომმა გადასდო დამატებით 600 მან. მდ. აბაშაზე ხიდის დასამთავრებლათ.

— **ელსადგური.** სენაკის აღმასკომმა მეურნეობის განყოფილებას დაავალა ადგილობრივ ელსადგურისათვის შეიძინოს დიზელის ახალი მანქანა.

— **გზების გაყვანა.** სამხრეთ-ოსეთის ცაკის გადაწყვეტილებით დამდეგ წლის განმავლობაში გაყვანილი იქნება გზატკეცილი ცხინვალ-როკას შორის და შარა-გზა კუდარა-ჯავას შორის.

— **სამეურნეო იარაღები.** სოფ. საბუეს გლეხკომმა გადასწყვიტა შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

— **ლეჩხუმის** სამაზრო აღმასკომმა გადასდო 200 მან. სოფ. მექვენის სკოლის საჭიროებისათვის.

— **გლეხთა კომუნები.** სურამის სარაიონო გლეხკომმა გადასწყვიტა ჩაატაროს სათანადო კამპანია გლეხთა კომუნების მოსაწყობათ.

— **ქ. დუშეთში** მეფუტკრეობის კურსები დაამთავრა 48 კაცმა.

— **მუხრანში** ამ დღეებში გაიხსნება მეღვინეობა - მევენახეობის კურსები.

— **ზუგდიდში** ახლად გახსნილ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმში ამ ჟამად სწავლობს 31 მოწაფე.

— **სიღნაღში** დაარსდა დაჭრილ, ავადმყოფ და დემობილიზაციით დაბრუნებულ წითელ-არმიელთა დამხმარე სამაზრო. კომიტეტი.

— **ქუთაისის** აღმასკომმა სამხედრო კოოპერატივს გადასცა ერთი დარბაზი კოოპერატივის გასაფართოებლათ.

სასოფლო მეურნეობა

მეაბრეშუმეობა გურიაში და მისი ამოცანები

(მიწადმოქმედების სახკომის საყურადღებოდ)

მეაბრეშუმეობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო გურიის, არამედ მთელი საბჭ. საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში. საკუთრივ, გურიის ღარიბ მშრომელი გლეხკაცობისათვის ის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა, რომელიც ის მოსავს და კვებს თავის ჯალაბობას; ამიტომაა, რომ მეაბრეშუმეობა გურიაში დიდათ გავრცელებულია.

იშვიათად ნახავთ ისეთ ოჯახს, სადაც ყოველ-წლივ აბრეშუმის ჭიას არ ისვამდნენ.

ამ გარემოებას სხვათაშორის ხელს უწყობს თუთის (ანუ „ბჟოლი"-ს, როგორც აქ ეძახიან) ხეების სიმრავლე. ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მეაბრეშუმეობის კულტურას აქ ერთობ დიდი პერსპექტივები უჩანს. ცნობილია, რომ აქაური პარკი საუკეთესო ხარისხისაა... თუ ეს სასოფლო-სამეურნეო დარგი აქ შესაფერ კულტურულ პირობებში იქნა ჩაყენებული—მას დიდი მომავალი აქვს.

...საუბედუროთ ამ ბოლო დროს (საერთოდ კი ომის შემდეგ...) მის განვითარებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ხშირათ ბაზარზე გამოდიოდა მდარე, ცუდი ხარისხის ავადმყოფი თესლი, ამან-კი გაახშირა უმოსავლო წლები

წელს გურიაში აბრეშუმის მოსავალი ბევრგან ცუდი იყო.

თესლის უვარგისობამ უამრავი ოჯახები სულ მშრალზედ დასტოვა და ამოდენა ნაწვალ-ნადაგი წყალში ჩაუვარდათ.

მომავალში გვმართებს განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ თესლის ხარისხის შერჩევის საქმეს, რაიც უნდა გადასინჯულ იქნას სპეციალისტების მიერ.

ამასთან ერთად თესლი განაწილებული უნდა იქნეს სხვადასხვა კუთხეებში, თანახმად მხარის გეოგრაფიულ-კლიმატიურ პირობებისა. ამისათვის საჭიროა და აუცილებელი, რათა გამოირკვეს თუ საქართველოს რომელ კუთხეს:—გურიას, სამეგრელოს, იმერეთს, ქართლ-კახეთს და სხვა. აბრეშუმის თესლის რომელი ჯიში შეეფერება.

მაგ. გამოკვლევებიდან ვიცით, რომ კერძოთ გურიაში ყვითელი აბრეშუმის თესლი იშვიათად სადმე თუ იხეირებს...

თუ ეს გარემოება არ იქნა ანგარიშ-გაწეული, ყოველგვარი ფიქრიც კი შეუძლებელია მეაბრეშუმეობის კულტურის განვითარებაზედაც კი არსებულ პირობებში საუკეთესო ზომათ უნდა მივიჩნიოთ გურიაში ერთი მთლიანი **სამრეწველო ცენტრის** დაარსება, რომელიც მთელი მაზრის მასშტაბით უნდა ხელმძღვანელობდეს პარკის დამუშავება-მოწესრიგების საქმეს.

ყოველგვარათ უნდა ვეცადოთ, რომ ადგილობრივვე შევსძლოთ პარკის მოსავლის მთელი რაოდენობის დამუშავება.

უნდა გავამრავლოთ როგორმე პარკის დამხვევი ქარხნების რაოდენობა.

გურია ამ მხრივ—კი ერთობ მოიკოჭლებს მაშინ, როდესაც მაგ. თელავში დღემდე იყო 48 დამხვევი დაზგა, სამტრედიაში—58, და ხონში—43, ოზურგეთში კი ითვლებოდა სულ რაღაც 24-დე ასეთი დაზგა, რომელსაც მთელი შემოსავლის ერთი მეათედის დახვევა თუ შეუძლია, მეტი არა.

ამიტომ აუცილებელია დამხვევი დაზგის რიცხვი აქ რამოდენიმეჯერ გავადიდოთ, რომ შევსძლოთ პარკის შემოსავლის მთელი რაოდენობის ადგილობრივ დამუშავება.

გამოანგარიშებულია, რომ გურიის პარკის მთელი მოსავლის დამუშავებას სჭირდება 200-მდე ჯარა, ხოლო 400—500—600-მდე მუშა ხელი.

ამონახვევი აბრეშუმი თავისთავად ბევრს კიდევ არაფერს ნიშნავს; საჭიროა მისი დართვა-დაგრეხა.

ამიტომ აუცილებლათ უნდა მოეწყოს გურიაში ერთი **სართავ-საგრეხი ფაბრიკა** მაინც.

ყოველივე ეს დიდათ შეუწყობს ხელს მეაბრეშუმეობის კულტურის განვითარებას აქ და ამავე რამოდენიმე ასეულ ღარიბ უმუშევარ გლეხკაცობას „საარსებო პურს" მისცემს. საჭიროა ამ საქმეზედ ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თავ-გამოდება და ენერგიული მზრუნველობა, რათა თავის დროზედ ყოველივე ზემონაჩვენებ ზომებს ანგარიში გაუწიოს და აქრიგად დავაწინაუროთ აღნიშნულ მხარეში ეს მეურნეობის დარგი, რომლითაც ეგრე დაინტერესებულია აქაური გლეხ-კაცობის ფართო მასსები.

უნდა ეთხოვოს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს ჯეროვანი დახმარება.

კარდონი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ცირკულიარი

შენიშნულია, რომ სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის თათბირებში, არა აქვთ განსაზღვრული დირექტივები მათ დაწესებულებათა მხრივ, რასაც შედეგად აქვს ის, რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებანი, გამოტანილი ხსენებულ წარმომადგენელთა მონაწილეობით, იწვევენ წინააღმდეგობას მათ მიერ წარმოდგენილ უწყებათა მხრივ. ამგვარი მდგომარეობა, როდესაც არ არსებობს თანხმობა უწყების და მისი წარმომადგენლებს შორის, აუცილებლად აფერხებს სახელმწიფო დაწესებულებათა კანონშეზომილ მუშაობას, რადგან ასეთი შეუთანხმებლობა იწვევს მიზანშეუწონელ დროის დაკარგვას, რომელსაც ცუდი გავლენა აქვს საქმის მსვლელობაზე.

ამ მოსაზრების მიხედვით საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია სთხოვს ყველა უწყებებს, შეთანხმებული მუშაობის დაცვის მიზნით მიეცეს მათ წარმომადგენელთ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მივლინების დროს განსაზღვრული და მტკიცე დირექტივები, რომლებითაც ისინი უნდა ხელმძღვანელობდენ წამოყენებულ საკითხების გადაჭრაში, რათა გამოტანილ დადგენილებებმა შემდეგში არ გამოიწვიონ რაიმე გაუგებრობა და საქმის გაჭიანურება.

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი დოლიძე.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი ცნობები მთვარეზე ცხოვრების შესახებ

დღემდი ფიქრობდენ, რომ მთვარეზე სრულიად არ არის ან თითქმის სრულიად არ არის წყალი და ჰაერი და ამიტომ იქ ცხოვრება შეუძლებელია.

ახლა კი ცნობილი ამერიკელი ასტრონომი ვ. პიკერინგი, მთვარის ზედაპირზე მრავალი დაკვირვებების შემდეგ, რომლის შედეგები ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა ამერიკელ ჟურნალ-გაზეთებში, თითქო წინააღმდეგ დასკვნამდი მიდის.

დაკვირვებებს აწარმოებდენ ასე: მთვარის ზედაპირზე, დაკვირვებებისათვის არჩეული იყო პატარა მოედანი ახლა უკვე ჩამქრალი უდიდესი ცეცხლისმფრქვეველი მთის ერატოსფენის ფერდობზე. ამ მოედნის სივრცე უდრის 2500 კვ. კილომეტრს.

ქვემოთ მოყვანილი სურათები წარმოადგენს რუკას მთვარის ერთი და იმავე ადგილისა, რომელიც გადაღებულია სხვადასხვა დროს.



მთვარე 1923 წელს 17 აპრილს.



მთვარე 1924 წლის 14 მაისს.



მთვარე 1924 წ. 15 მაისს.

ამ რუკაზე სჩანს მთელი რიგი დიდი და პატარა ლაქები, რომლებიც შეერთებული არიან ურთიერთ შორის ვიწრო შავი ზოლებით, „არხებით". გარდა ამისა სურათის კიდეებში მოსჩანან თეთრი ადგილები.

დაკვირვებებმა პიკერინგი იმ დასკვნამდი მიიყვანა, რომ თეთრი წერტილები იცვლიან თავის ფორმას და სიდიდეს: „არხები" ხან ფართოვდებიან, ხან ვიწროვდებიან და იცვლიან ფერსაც—ხან მუქი ფერისა არიან, ხან მოთეთრო.

და რაც შესანიშნავია, ეს ის, რომ რამოდენიმე თეთრი წერტილები მოძრაობენ მთვარის ზედაპირზე და მათი სახეც თანდათანობით იცვლება.

თეთრი წერტილების ფორმისა და სახის შეცვლიდან პიკერინგმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ მთვარეზე უნდა არსებობდეს თოვლი.

მაგრამ თუ თოვლი არსებობს, უნდა არსებობდეს წყალიც. შემდეგ ის დაასკვნის, რომ „არხების" ფერისა და სახის შეცვლა ხდება მცენარეულობის სიხშირის შეცვლასთან დაკავშირებით.

ყველაზე საინტერესოა მისი დასკვნა შავი წერტილების მოძრაობის შესახებ.

„რომ—ამბობს პიკერინგი,—რომელიმე მეთვალყურე ასი წლის წინათ მოეთავსებინა მთვარეზე და მას თავისი ტელესკოპის საშუალებით თვალყური ედევნებინა დედამიწის დასავლეთ ნაწილისათვის, ამერიკისათვის, ის შეამჩნევდა ზოგიერთ საგნებს, რომლებიც მოძრაობდენ 4—5 კილომეტრის სისწრაფით საათში. ჩვენ ვიცით, რომ ეს შავი საგნები იქნებოდენ მინდვრათ გაფანტული ბიზონების ჯოგები".

პიკერინგის ცნობით, შავი წერტილები მთვარეზე მოძრაობენ 50—100-ჯერ უფრო ნელა. აქედან პიკერინგი აკეთებს დასკვნას, რომ ეს შავი წერტილები არ წარმოადგენენ ბიზონის სიდიდის მქონე საქონლის ჯოგს და ის ცდილობს გაიგოს თუ რას წარმოადგენენ ბოლოს და ბოლოს ეს წერტილები. პიკერინგი ამბობს, რომ ასე ნელა მოძრაობა შეუძლია პეპელებს ან კალიებს აქედან ის დაასკვნის, რომ ცოცხალი არსებანი, რომლებიც თავისი მასით ქმნიან ამ შავ წერტილებს, თავისი სიდიდით არ უნდა განსხვავდებოდენ ამ მწერებისგან.

პიკერინგმა ისიც კი გამოიანგარიშა თუ რამდენი ასეთი მწერი უნდა იყოს მოთავსებული ერთ კვადრატულ კილომეტრზე რომ ასეთი ფერი მივიღოთ. მისი ანგარიშით გამოდის რომ კვადრატულ კილომეტრზე უნდა იყოს 20,000,000,000 კალია ან პეპელა.

აკეთებს რა ასეთ დასკვნებს, პიკერინგი იმავე დროს აცხადებს, რომ ის კატეგორიულად არ ამტკიცებს, რომ ყველაფერი ასეა, როგორც ამბობს. თავის შეხედულებას ის თვლის მეცნიერულ მოსაზრებით.

კოოპერაცია

კოოპერატივ „გამარჯვება"-ს მუშაობა

1918 წლიდან არსებობდა ლიის რაიონში (ზუგდიდის მაზრა) მრავალი კოოპერატივები. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ გლეხობა სცდილობდა გაემაგრებია იგინი საპაიოს შეტანით, ისინი ვერ იდგნენ დანიშნულების სიმაღლეზე. ვერ უწევდენ გლეხობას იმ დახმარებას, რომელსაც უკანასკნელი საჭიროებდა.

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ლიის რაიონშიც, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გაჩაღდა აღმშენებლობითი მუშაობა, მშრომელი გლეხობის უსაჭიროეს მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. მთავრობის დახმარებით 1923 წ. დაარსდა ლიის თემში, რაიონული მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება „გამარჯვება", რომელმაც დღეს მოიპოვა მცხოვრებთა ნდობა და საკმაოდ მომარაგებული და გაფართოებული ღირსეულათ ასრულებს ჩვენი კუთხის ეკონომიურად დაწინაურების ამოცანას.

ამ მომხ. საზოგადოებამ გახსნა საკუთარი თანხით ჯვარის და ტყაია-ბეჟას-ღალის თემებში [illegible] ფილიალები, რომელნიც მასთან ერთად აწვდიან გლეხობას პირველმოთხოვნილების საგნებს როგორიცაა მანუფაქტურა, ნავთი, მარილი, ჭურჭლეულობა სხვა.

დღეს კოოპერატივის აქტიურ წევრებათ ითვლება 300 კომლი. აბრეშუმის პარკის ოპერაცია რიგიანად დასრულდა. შესყიდულ იქნა რამოდენიმე ასი ფუთი პარკი. მეპატრონეთ ავანსის სახით დაურიგდა 13 მანეთი ფუთზე. მშრომელი გლეხობა აღფრთოვანებულია ჩვენი კოოპერატივის ასეთი მუშაობით. მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ჭალის თემი, რომელიც კოოპერატივებზე ძლიერ დაშორებულია და მდ. ენგური არ აძლევს საშუალებას შეიძინონ საჭირო საგნები. ამ არანორმალურ მდგომარეობას საჭიროა მიაქციოს მომხ. საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება და თუ ძალა შესწევს, გახსნას ზემო აღნიშნულ თემში განყოფილება.

პლატონიშვილი.

ქრონიკა

აჭარისტანის მუშკორთა დეპეშა

აჭარისტანის მუშკორთა თათბირმა შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა თბილისის მუშკორთა ბიუროს: აჭარისტანის მუშა, გლეხ, სამხედრო და ახალგაზრდა კორესპონდენტების მეორე თათბირი სალამს უძღვნის თავის თანამოძმეებს მუშაობაში მუშაობა ღარიბ გლეხობის კულტურული დონის ასამაღლებლად, მჭიდრო კავშირი გლეხკორებთან, ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც სდევნიან მუშკორებს, მუშკორის ავტორიტეტის ამაღლება მასებს შორის – ჩვენი მორიგი ამოცანებია; ჩვენ სიტყვას გაძლევთ, რომ შევასრულებთ მათ.

თათბირის პრეზიდიუმი.

წამლები რკინისგზელებისათვის

ავადმყოფ რკინისგზელების და მათი ოჯახის წევრებისათვის საექიმო დახმარების გასაადვილებლად, ა.-კ. რკ. გზათა სამმართველოს ჯანმრთელობის განყოფილებამ დასდო ამ ჟამად საქართველოს სახ. [illegible] და თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საოფთიაქო სამმართველოებთან ხელშეკრულება რომლის ძალით ის წამლები, რომლებიც დროებით არ იქნება რკ. გზ. აფთიაქში, მიეცემათ რკინისგზელებს ჯანმრთელობის სამმართველოს ვიზით ქალ. თბილისის ყველა აფთიაქებიდან უფასოდ.

— **მანგლისის აგარაკის გაფართოება.** ქ. აღმასკომმა დაადგინა მანგლისის აგარაკის გასაფართოებლად სააგარაკო ხეივანი განთავისუფლებული იქნას კერძო მოსახლეთაგან. გადასახლებულ მოსახლეებს სხვა ადგილას მიეცემათ სამოსახლო ადგილები.

— **ქალაქის მე-8 საავადმყოფოს** შეკეთების საკითხი ქ. აღმასკომმა გადასცა საუწყებო საკონტროლო კომისიას.

— **უპატრონო სახლები.** ქ. აღმასკომმა დაადგინა, ის სახლები, რომლებიც უპატრონონი არიან და იმყოფებიან განათლების განყოფილების განკარგულებაში ჩამორთმეულ იქნან მუნიციპალიზაციის წესით.

— **სახელმწიფო კონსერვატორიას** ქ. აღმასკომმა ერთი წლის ვადით უფასოთ გადასცა რუსთაველის პრ. № 21 მდებარე დარბაზი სტუდიის საჭიროებისათვის.

— **მილიციის თანამშრომელთა ჯამაგირების** მომატების საკითხის შინაგან განსაწესრიგებლათ ქ. აღმასკომმა შეადგინა კომისია ამხ. მესხის თავმჯდომარეობით.

— **კინო-თეატრებში** და სხვა სანახაობის დაწესებულებებში ქ. აღმასკომმა დაადგინა შემოღებული იქნას ერთი სახის ბილეთები დანარიცხების აკრეფის გასაადვილებლათ.

— **აბასთუმანში..** სოც. დაზღვევის სამმართველო 25 იანვარს აბასთუმანში გზავნის ავადმყოფთა მეორე წყებას.

— **ანგარიშის გამოცემა.** სოც. დაზღვევის სამმართველო ახლო ხანში ცალკე წიგნათ გამოსცემს 23—24 წლების მუშაობის ანგარიშს.

— **შრომის დაცვის** განყოფილება შეუდგა ტყავისა და ლითონის წარმოებების გეგმიან გამორკვევას.

— **მეფუტკრეობის** განსავითარებლათ საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო სათანადო ორგანოებისათვის სესხის მისაცემათ 14 ათასი მანეთი.

— **ქარხნების აღდგენა.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა აღადგინოს ყველის და ერბოს სახელი ქარხნები, რომლებიც დღემდე გაუქმებულნი იყვნენ.

— **საბავშვო სახლებისათვის.** განათლების კომისარიატმა დამდეგ წლის ხარჯთ-აღრიცხვით გადასდო 96.884 მ.

— **სულით ავადმყოფთა აღრიცხვა.** საქართველოს პროვინციებში ამჟამად მიმდინარეობს სულით ავადმყოფთა აღრიცხვა.

— **თამბაქოს დამზადება.** წარმოკავშირმა დაურიგა თამბაქოს მრეწველებს ავანსათ 150,000 მ. წარმოკავშირისათვის თამბაქოს დასამზადებლათ.

— **სატყეო ტრესტი.** საქ. უმ. ეკ. საბჭომ დაამტკიცა საქ. სატყეო ტრესტის ხარჯთ-აღრიცხვა.

— **საქ. უმაღ. [illegible]** დაამტკიცა სრ. საქ მეაბრეშუმეთა საზოგადოების დებულების პროექტი.

— **ფიზკულტურისათვის.** დამზღვევ კასამ გადასწყვიტა სათანადო დახმარება გაუწიოს ფიზკულტურის ორგანიზაციებს.

— **უმუშევრები.** თბილისის საშუამავლო ბიურომ დეკემბერში აღრიცხვაზე აიყვანა 1054 ახალი უმუშევარი, მათ შორის 745 კაცია და 319 ქალი.

— **უმუშევართა ხელახალი აღრიცხვა.** გონებრივ და კანტორის მუშაკთა საშუამავლო ბიურო 6 იანვარს მოახდენს საქმისმწარმოებლების, რწმუნებულების, რეგისტრატორების და მოანგარიშეების ხელ-ახალ აღრიცხვას ნომრების დასარიგებლათ.

შემთხვევები

— **თვითმკვლელობა.** 4 იანვარს დღის 10 საათზე ამაღლების ქ. № 10-თ-ის ბინაზე მოქ. ახმეტელმა რევოლვერით სასიკვდილოთ დაიჭრა თავი. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა მთავარ საავადმყოფოში.

— **თავის-თავის გაქურდვა.** 31 დეკ. ღამით დეზერტირის ბაზარში [illegible] მიკირტიჩიანცის წიგნების სახელოსნო. როგორც გამოირკვა, ქურდობა მოუწყვია თვით მიკირტიჩიანცს და მის შეკერდს ვალის თავიდან აშორების მიზნით დამნაშავენი შეიპყრეს.

— **გამოტაცება.** 4 იანვარს, სალამოს ჩერქეზიშვილის ხიდთან მოქ. დარალიკოვას ხელიდან გამოსტაცეს რიდიკული. ჯიბგირი ხოჯერიკი შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** 3 იანვარს შეიპყრეს ისაკ ჩანაშვილი, რომელმაც ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიიდან „განათლება" მოიპარა 8 წიგნი.

ქურდობა

— 3 იანვარს დღით სასამართლოს ქ. № 11 ექიმ ქიქოძის დერეფანიდან მოიპარეს 250 მან. ნივთები.

— ამავე დღეს, პლეხანოვის პრ. № 23 გაქურდეს თამარა კუზაევის ბინა, წაიღეს 80 მან. ნივთები.

— ამავე დღეს, ივ. ლაფერაშვილის (ახვერდოვის მამულში) მოიპარეს 3 ინდოური.

— 31 დეკ. მოქ. სერგო მე[illegible]ლიშვილის ბინიდან (თავისუფლების ქ. № 3) მოიპარეს „სჩოტჩიკი".

— 3 იანვარს ღამით მოქ. ალექსი შერზინმა ქეიფის შემდეგ სასტუმრო „პალას"-ში წაიყვანა მეძავი ქალი, რომელმაც ძილის დროს გაქურდა შერზინი. წაღებულია 80 მ. ტანისამოსი.

— 4 იანვარს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის სარეცხაოდან მოიპარეს სარეცხი. ღირებულება გამოურკვეველია.

— ქალაქის აღმასკომის წყალსადენის განყოფილების კანცელარიიდან მოიპარეს კედლის საათი.

ცეცხლი.

— 4 იანვარს ბაიადარის ქუჩაზე № 20 ღუმელის მილის გაუმართაობის გამო გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელმა რაზმმა. ზარალი არ არის.

ხელოვნება

დაახლოვების საღამო.

ორშაბათს, დეკემბრის 29, ქართული დივიზიის ცენტრალურ კლუბში გაიმართა დაახლოვების საღამო ცენტრ. პარტსკოლის და სამხ. პოლიტსკოლის კურსანტების მიერ. საღამო დაიწყო საზეიმო სხდომით. შემდეგ დაიდგა ცენტრ. პარტსკოლის ძალებით „ახკომკავშირის შობა".

სამხ. პოლიტსკოლის დრამწრემ ბ. ხუციშვილის ხელმძღვანელობით დადგა „საკვამური" და „სულის მამა".

შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება სამხ. პოლიტსკოლის ძალების მონაწილეობით. სკოლის გუნდმა ამხ. იაშვილის ლოტბარობით შეასრულა ლამაზად რამდენიმე სიმღერა. საღამომ ჩაიარა მწყობრათ და დამთავრდა ღამის 11 საათზე, დაესწრო 500-დე წითელ არმიელი და მუშა.

ქ.

—„**იმედის დაღუპვა**". ოთხშაბათს, 7 იანვარს, ქართველ მსახიობთა კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნება ოპერის თეატრში: „იმედის დაღუპვა".

— **სახელმწიფო ოპერა.** ხუთშაბათს, 8 იანვარს, სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად—მეიერბერის ოპერა: „წინასწარმეტყველი".

— **წითელ თეატრში** ორშაბათს, 12 იანვარს, წარმოდგენილი იქნება „სულელი" მე-3 შრომის სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

— **ცირკი** - დუროვის გასტროლი.

დღეს კინოებში

— **არფასტო**—„ელიტა" 1 და 2 სერია.

— **მინიონი**—„ქალი გზა-ჯვარედინზე" 1 და 2 სერია.

— **სოლეი**—„ელიტა" 1 და 2 სერია.

— **აპოლო**—„გრაფ მონტე - კრისტო" 1 და 2 სერია.

— **გლობუს**—„სამი სიცოცხლე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო

„ანტა... ოდელი... უტა“ (აელიტა)

რუსეთის კინო-ორგანიზაციების მიერ გამოშვებულ სურათებს შორის „აელიტა“-ს პირველი ადგილი უჭირავს თავისი გრანდიოზულობით და ფაბულის სიახლით.

მოქმედება სწარმოებს დედა-მიწაზე და მარსზე. რეალური ცხოვრება და ფანტასტიკა გადახლართულია ერთმანეთში, სიზმარი და სიცხადე ერთმანეთს ავსებენ.

გაუგებარი და უცოდინარი სიტყვები: ანტა-ოდელ-უტა, რომლებიც მარსიდან იგზავნება დედამიწაზე, მოსვენებას არ აძლევს ინჟინერ ლოსს რომელმაც ოცნებით შეიყვარა მარსიანელების დედოფალი აელიტა.

ის გამოიგონებს აპარატს—„ინტერპლანეტ ოხუფ“-ს, რომლითაც გაფრინდება მარსზე. იქ აწყობს მონების აჯანყებას, მაგრამ აელიტა უღალატებს ლოსს და ერთგული რაზმის დახმარებით ამარცხებს მეამბოხეებს.

გაბრაზებული ლოსი აიტაცებს ხელში აელიტას და უნდა გადააგდოს ის და... გამოიღვიძებს ყველაფერი ეს სიზმარი იყო.

რამდენადაც სურათი ფართო გასაქანს აძლევს რეჟისორის ფანტაზიას, იმდენად მისი ტექნიკური მხრივ გამართულად დადგმა ძალიან ძნელია.

პროტაზანოვის სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მას დაუძლევია ყველა დაბრკოლებები. სურათის იდეოლოგიური სისუსტე გამოსყიდულია თვალის მომჭრელი ტექნიკით და მსახიობების იშვიათად ლამაზი თამაშით.

„აელიტა“ ევროპიული მასშტაბის კინო-ფილმია.

მშვენივრათ არის დადგმული ყველა სცენები მარსზე, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც აელიტა მარსიდან დაჰყურებს დედა-მიწას. ლამაზია მარსიანელ მონების ჩაყრა საყინულეებში. გრანდიოზულია აჯანყება მარსზე.

საუცხოვოა კონსტრუქტიული დეკორაციები, კოსტიუმები და ბუტაფორია. ზედმიწევნით სრულად არის გამოყენებული სინათლის ეფექტები. მარსიური სცენები ცოცხალი და გამომეტყველია.

„ს აქაოს“ ცხოვრებაც არ არის დავიწყებული. ყველგან ჩანს რეჟისორის მტკიცე ხელი და გამახვილებული თვალი. სურათში არის რამოდენიმე სცენა „ოლ ოვსტროი“-ს მუშაობიდან. ცოტათი გაშარჟებულია „წითელი პინკერტონი“.

არის სცენები „ყოფილი ადამიანების“ ცხოვრებიდანაც. ლამაზათ არის დადგმული არალეგალური „ბალი“ თავისი ფოკსტროტით.

ფოტოგრაფია ყველგან ნათელია და დახვეწილი უკანასკნელ შესაძლებლობამდი.

თამაშის მხრივ „აელიტა“ შედევრათ უნდა ჩაითვალოს რუსულ კინო-ფილმებში.

პირველ რიგში სდგანან წერეთელი (ინჟ. ლოსი) და კუინჯი (ნატაშა). მათი თამაში [illegible] კულტურით და პლასტიურობით. ძლიერია მიმიკა.

დანარჩენი შემსრულებლებიც: პოლი, ბატალოვი, ეგგერტი, ილინსკი, ორლოვა, პერეგონცი და სხვ. ი მხარს უმშვენებენ მათ.

სოლნცევას (აელიტა) ალაგ-ალაგ აკლია სიმტკიცე. საერთოდ ამ როლში ძნელია არტისტიული ნიჭის სრულად გაშლა. რიტმიულობა და პლასტიკა შესრულების დადებითი მხარეა.

ეპიზოდიური როლებიც გამოცდილი მსახიობების ხელშია.

შ. ბ.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

საშემოდგომო სეზონის დახურვა. დაიხურა ფეხბურთის საშემოდგომო სეზონი. [illegible] პირველი გუნდის და ს. ორჯონიკიძის სახელობის გუნდის შეჯიბრება, რომელიც უნდა გამართულიყო 28 დეკემბერს, ძლიერი ყინვების გამო არ შესდგა.

ამრიგად პირველობის საკითხი თბილისში გადაუწყვეტელი დარჩა. საგაზაფხულო სეზონი დაიწყება მარტის ბოლო რიცხვებში.

ტაგანროგის ნაკრები გუნდი

გაზაფხულზე თბილისში ჩამოვა ტაგანროგის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც აქ გამართავს რამოდენიმე შეჯიბრებას.

ამას გარდა მოსალოდნელია საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ჩამოსვლა, რომელიც აქედან გაემგზავრება ოსმალეთში.

ფეხბურთელთა ლიგა

მოხდა ფეხბურთელთა ლიგის რეორგანიზაცია. ის გადაკეთდა სასპორტო თამაშობათა ქვე-სექციად ფიზკულტურის თბილისის საბჭოსთან.

ახალი სტადიონი

ფიზკულტურის თბილისის საბჭო მოლაპარაკებას აწარმოებს ქალაქის აღმასკომთან ქალაქის ფარგლებში თავისუფალი მიწების გამოყოფის შესახებ, სადაც მოწყობილი უნდა იქნეს სტადიონი და სპორტ-მოედნები.

კახეთი 1924 წელში

წარსული წლის კახეთის ცხოვრებას რომ ვეხებით, საჭიროა უპირველეს ყოვლისა გავითვალისწინოთ მისი ეკონომიური მდგომარეობა, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ყოველმხრივი კეთილდღეობა.

ბოლო წლებში პურის კრიზისის გამო კახეთში ერთობ გადიდდა სახნავ მინდვრის სივრცე. ამას ხელი შეუწყო, ჯერ ერთი პურის სიძვირემ, როცა იგი ვალიუტად ითვლებოდა და მეორე ფილოქსერის მიზეზით ამოვარდნილმა ვენახებმა. დაახლოვებით მარტო თელავის მაზრაში 8 ათასი დესეტინა ვენახი გადახმა და სახნავად იქცა. ახლა ამას მიუმატეთ გაჩეხილ-გატეხილი ტყე-ჭალა და შეიძლება ითქვას, რომ დასათესი დედამიწა ერთი-მესამედით მაინც გაიზარდა წინანდელთან შედარებით.

ამნაირათ საშუალო მოსავლის დროსაც-კი კახეთს საკმარისი პური უნდა მოუვიდეს და გარედან შველას არ საჭიროებდეს. მაგრამ 1924 წლის მოსავალმა კახეთს იმდენი ხორბლეულობაც-კი ვერ მისცა, რომ წლის მეოთხედს მაინც ჰყოფნოდა.

1924 წელს მეტად ნაკლები პური დაითესა. მთელი შემოდგომა და ოცდა ოთხი წლის დასაწყისი ისეთი მშრალი მზიანი ამინდები იყო, რომ გლეხს იოლი არ მისცა გუთანი გაეტანა მინდვრად, გაზაფხულიც ასეთი უწყალო მოჰყვა, რაც დაითესა, ჯერ ერთი თაგვმა და ფრინველმა გაიკლო და მერე მზემ დაჩაგრა. ჭირნახული დედამიწას არ ასცილებია, სიმინდი ზოგი არც-კი გაღვივებულა და რაც ამოვიდა ველარ დაითოხნა; წელიწადი გვალვით დაიწყო და გვალვითვე გათავდა. ხელოვნური მორწყვა, მდინარის გამოყენება კახეთისთვის ჯერ უცნობი ხილია და მაშინ როცა მინდორში ჯეჯილი ხმებოდა, ანეულში სიმინდი სიცხისაგან იწოდა, გულქვა ალაზანი კახეთის შუა გულში დინჯად მიმდინარეობდა თითქოს მას არც-კი ესმის გუთნის დედის ჩივილი და გლეხთა ჩხუბი პატარა რუს შესახებ, რომელიც ბევრგან ბოსტნის მოსარწყავად რომ არა ჰყოფნით ხოლმე, თოხებს თავ-პირში ერთმანეთს უშენენ.

არც ამ ალაზნის გამოყენებაზე ხმა არავის ამოუღია, არც თვითმმართველობის, არც მენშევიკების დროს, და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღიძრა საკითხი ამ მდინარის სარწყავად გამოყენების, ეგრედ წოდებულ ალაზნის არხის გაყვანის შესახებ.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთ ანორმალურ პირობებში მოსავალი ვერ მოვიდა და მართლაც ბევრმა გლეხმა 1924 წელში სათესლე ვერც-კი აიღო. საერთოდ რომ ავიღოთ 3-4 თვის სარჩოზე მეტი არ მოსულა პურის მოსავალი. უმრავლესობას სათესლე პურის ყიდვა მოუხდება და თუ 1922 წელი არ განმეორდება წელს კახეთში ეს ჯერ ერთი შარშანდელი პური ბევრს შეჰყვა, წარსულ ზაფხულს სოფლებში სიმინდის ბეღლები ყველას სავსე ჰქონდა და მეორე უმთავრესად რუსეთის ფქვილის წყალობით სიმშილობას ასცდა კახეთი და ახლა ყველაზე იაფი პურია.

გვალვის გამო საქონლის საკვები ძლიერ ნაკლ[illegible] 1924 წელს კახეთში. თი[illegible] მცირეა და საქონელი [illegible] სიმინდის ფუჩეჩზე არის დარჩ[illegible]. მესაქონლემ წინ და წინვე იგ[illegible] რომ შუა ზამთარში ხმელი შემოაკლდებოდა და ამისათვის შემოდგომიდანვე დაუწყო ყიდვა, რომ გაენახევრებინა, ვისაც რამდენი ჰყავდა. არას დროს ამდენი საქონელი არ გამოუყვანია გლეხს გასასყიდათ როგორც წელს და ძლიერ იაფადაც იყიდება. რასაკვირველია ეს გარემოება შემდეგში იმოქმედებს მხვნელ-მთესველზე.

ყურძნის მოსავალი რაც ფილოქსერას ვაზი გადაურჩა არა უშავს რა, გვარიანი იყო, მაგრამ სეტყვამ-კი ბევრი სოფელი დააზარალა, ცნისლის რაიონი ზაფხულში, შემოდგომაზე— რთველის დროს ნაფარეულის რაიონი და წინანდლის ნაწილი. მაგრამ რაც მოვიდა იმას ხომ გასაღება უნდა. ღვინის გაყიდვით უნდა მოემზადოს გლეხი ზამთრისთვის, იმით უნდა მოიშოროს ხარჯი, მოაგვარიანოს ცოლ-შვილი და სხვა და ეს ღვინოც-კი შედარებით ძლიერ იაფად იყიდება. გაჭირვებული გლეხი იძულებული იყო ჩაფი 1 მან. 50 კ.—2 მ. მიეცა, მხოლოდ არაყი ჩარექა 40-50 კაპ. იყიდებოდა, და ამით სარგებლობდნენ ჩარჩ-სპეკულიანტები. ამავ დროს კი კახეთში თითქმის ყოველ სოფელში შეხვდებით მეღვინეობის კოოპერატივებს ან მის განყოფილებებს [illegible] „ვინესკეთ“ დიდი ასოებით, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს რომ 1924 წელს ის არაფრით დახმარებია ჩვენ საწყალ გლეხკაცს.

საბედნიეროდ 1924 წელს ხალხის ჯანმრთელობის მხრივ ვერ დავიმდურებით. რაიმე მოარულს და სტკივარს, რომელიც წინედ ხშირი მოვლენა იყო ხოლმე, 1924 წელში ადგილი არ ჰქონდა და მოსახლეობას ამ მხრივ ზარალი არ მოსვლია. სახადიც-კი რომელიც ყოველ ზამთარს აუცილებელი სტუმარი იყო გლეხკაცის ოჯახისა შარშან თავი დაგვანება და იმედია არც ახალი წელი მიიღებს მას.

აღსანიშნავია აგრეთვე კულტურულ-განათლების მხრივ წინ წაწევა 1924 წელში. წინედ ათეულ წლებში ვერ გაკეთდებოდა, რაც შარშან გაკეთდა კახეთში. ახლა ერთ სოფელსაც ვერა ჰნახავთ, რომ სკოლის სახით განათლების შუქი არ ჰფენდეს გლეხთა მოსახლეობას.

სკოლების გამრავლებასთან ერთად მოჰყვა, ქოხ-სამკითხველოები, წერა-კითხვის უცოდ. ლიკვიდაციის სკოლები, თეატრები, ბევრ სოფლებში ეკლესიები გადააკეთეს, ბევრში საგანგებოდ ააშენეს სახალხო სახლები და ამნაირად გაჩაღდა სოფლად კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, არას ვამბობ მაზრაში პარტ-მუშაობის გაფართოება-გაღრმავებაზე და კომუჯრედების გამრავლებაზე.

ამნაირად 1924 წელი მეურნეობის მხრივ კახეთისათვის არ იყო კარგი, სხვა მხრივ-კი ბევრი რამ შეგვძინა, მაგრამ ჩვენ 1925 წლისა უფრო მეტის იმედი გვაქვს და ამისათვის ჩვეულებისამებრ უკეთეს რამესაც მოველით მისგან.

ვან—ლი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 6 იანვარს, საღამოს 6 საათზე ცენტრალური პარტიული კლუბის შენობაში ამხ. ლომინაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: **„პერმანენტული რევოლუციის თეორია“.**

მოხსენებაზე მოწვეული არიან უჯრედების მდივნები, პოლიტიკურ და პარტსკოლების ხელმძღვანელები და აქტიური მომუშავენი თბილისის ორგანიზაციებში.

თბ. კომიტ. მდივანი **კახიანი.**

— არსრაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომში დღეს, 6 იანვარს დღის 9—3 საათამდის და ხვალ, 7 იანვარს—დღის 9—3 საათამდის და საღამოთი 6—8 საათამდის:

იუზბაშევი ისაკ, ავეტისოვი ხორენ, ხაჩიკიანი ალას, ანშელევიჩი იოსებ, ქებურია ლევან, მიკირტუმოვი ბაგრატ, მჭედლიშვილი გერმან, მაისურაძე ალექსი, ზამბახიძე [illegible], კალანდაძე ნიკოლოზ, ვარდანიან გურგენ, გოგეშვილი მიხეილ, კალანდაძე ვლ., [illegible] პილატ, ბოლქვაძე ნინა, სალუქვაძე დავით, შოშია ალ., ღლონტი ნიკოლოზ, ეგიზაროვი გრიგოლ, წარამშვილი გიორგი, [illegible] ევგენი, ნაზაროვი ალ., კამალოვი [illegible], [illegible] მოსე, იტრიევი ვასო, ტრაპაიძე დავიდულ, დონდუკოვი სტეფანე, ფარნი ვალ., ამათუნი ამათუნ, ბოჭორიშვილი სერგო, ფრიდმანოვი ფრიდონ, ქანტურია ისიდორე, ფანცხავა ვლ., რეიტმანი ანნა, აფანასიევი სვიმონ, გოგინაიშვილი მიხ., [illegible] ვასო, გრანნიკ ელლი, ბრეგაძე პავლე, მეძმარიაშვილი მიხ., ივანიშვილი ნიკოლოზ, პრეობრაჟენსკი ივანე, დოგუნოვი ივან, კალანდაძე ზენდიქე, იგნატოვი ვასილ, ბეგუროვი, ვაცაძე გ., ნარიკაშვილი ვარლამ, ხუპულურია ანტონ, ჩიქვაძე ლ., საბაშვილი მ., ქორიაშვილი ელია, აღამალოვ მიხ., კინწაძე გრ., არუთინოვი ისაკ, კაჩაოევი [illegible], ცომაია კლიმენტი, არჩვაძე ევგენი, თარხაიოვი [illegible].

— თბილ. კომიტეტის აღმრიცხველ-გამნაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს 6 და 7 იანვარს დღის 1 საათისათვის გამოცხადდნენ ამხ. საავკოვთან: ჩიბალაშვილი, აოუთინოვი, აბელიანი, ჩაჩანიძე, მესხიშვილი, მეჯლუმშვილი, გრიგორიანი, ილიაძე, მათიაშვილი, გეიდეჰი, ხარმანდარიანი, თეძიშვილი, ლომთაძე, ზუმკოვია.

აღმრიცხვ.-გამნაწ. განყოფილება.

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: დღეს, 6 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება შინა დიასახლისების კრება. ყველას დასწრება სავალდებულოა.

ქალთა განყ. გამგე **კობალაძე.**

— არსრაიკომი იუწყება: ოთხშაბათს, 7 იანვარს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია **რაიკომის პლენუმი არსრაიკომის კომუჯრედების მდივნებთან ერთად.**

დღის წესრიგი: 1. საორგანიზაციო განყ. ანგარიშები, 2. საორგ. განყ. მომავალი მუშაობის გეგმა, 3. რაიკომის პრეზიდიუმის შესადგენი არჩევნები, 4. მიმდინარე საკითხები. დასწრება სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის და აგრეთვე კომუჯრედების მდივნებისათვის.

მდივნის მაგიერ მელაძე.

— ოთხშაბათს 7 იანვარს, 4 საათზე შესდგება მუშფაკის კომუჯრედის ბიუროს მორიგი სხდომა მუშფაკის [illegible] საცხოვრებელში, პლეხანოვის პრ. № 121. პარასკევს 9 იანვარს, 4 საათზე, შესდგება კომუჯრედის მორიგი სხდომა მუშფაკის შენობაში.

ქართულ მუშფაკის კომუჯრედის ბიურო.

— ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, სამშაბათს, 6 იანვარს, ქალთა განყოფილების ბინაზე დღის 4 საათზე მოწვეულია ორგანიზატორ ქალთა თათბირი. დასწრება ყველა ორგანიზატორ ქალთა სავალდებულოა.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე: ლ. ბიბილეიშვილი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული მეუღლე კაცო დაკიოის ძე ჭითანავა ძმა ნიკო (კოლია) მაქსიმეს ძე ჩხენკელი, დები ნინა და ქეთო (ფაკურია), სიძე ბარნაბა აბულადიანი შვილებით, დედამთილი ალათი ჭითანავასი, ძმები კოწია და ალექსი ჭითანავები, რძალი ეკატერინა ჭითანავასი და მისი შვილი ბერდო (ირია) შვილებით აუწყებენ მეგობართ და ნათესავთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა

ფაცია ჩხენკელის ასული ჭითანავასი

რომლის დასაფლავების დღე დანიშნულია 8 იანვარს ქ. ფოთში, დილით ხუთშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე. ცხედრის გამოსვენება [illegible] ქ-ჩა. 53 1—1

ღრმად დამწუხრებული მეგობრები, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს მათი დაუვიწყარი მეგობრის თბ. სახელ. უნივერსიტეტის სტუდენტის

გიორგი (ჟორჟიკ) ნიკოლოზის ძე ზაალიშვილის

ტრაგიკულ სიკვდილს.

გამოსვენება დღის 3 საათზე სამშაბათს 6 იანვარს უნივერსიტეტის ეზოდან, ვერის სასაფლაოზე. დაკრძალვა იქვე. 19 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ფიდოსი შევარდენის ასული; შვილები: აკაკი და მიშა, ძმები: თომა, ნიტიკო, გიორგი და მოსე; რძლები: ნადია, მაშო, პოლინე, ვერა და ილენე; შვილის შვილები გორგი და ევგენი ურუშაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 3 იანვარს დილის 9 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

შერმანდი (ივანე ხარიტონ) ზებურისძე ურუშაძე

რომლის დაკრძალვა დანიშნულია 8 იანვარს დღის 2 საათზე ქალ. ლანჩხუთში. 20 1—1

1925 წ. | 25 იანვრიდან | 1925 წ.

გამოვა

ყოველთვიური სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო მოსწავლე ახალგაზრდობის

ჟურნალი

„საზღვარზე“

ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის და განათლების სახალხო კომისარიატის ორგანო.

ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორები არიან: 1. მარიამ ორახელაშვილი, 2. გ. დარახველიძე, 3. გ. ძიგრაშვილი.

ჟურნალი „საზღვარზე“ ღირება:

1 თვით—50 კ.
3 „ 1 მ. 40 კ.
6 „ 1 მ. 80 კ.
1 წლით—5 მ.

ჟურნალის გამოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე, ხელმძღვანელ[illegible] გამომცემლობის კანტორაში რუსთაველის პრ. № 31.

ჟურნალ „საზღვარზე“-ს რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი რუსთაველის პრ. № 20. ტელეფონი 2—21

საჟურნალო მასალები უნდა გამოიგზავნოს ამავე მისამართით.

ჟურნალს აქვს მუდმივი განყოფილებები:

ბელეტრისტიკა და პოეზია, ლიტერატურული კრიტიკა, პოლიტიკა-ეკონომიკა—მარქსიზმი, მეცნიერული განყოფილება; მიმოხილვები: ახალი სკოლის, ახალგაზრდა საერთაშორისო მოძრაობის, მუშათა ცხოვრების, თეატრის, კინოს, სპორტის შესახებ; ფართო ადგილი დაეთმობა სოფლის ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების გაშუქებას, კრიტიკა-ბიბლიოგრაფიის და სხ.

ჟურნალში მონაწილეობას ღებულობენ როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა მწერალ-პოეტები, ჟურნალი დასურათებული იქნება მხატვრების—ამ. ქუთათელაძის და ს. ნადარეიშვილის მიერ.

ჟურნალის № 1 გამოვა 25 იანვარს

შრომის ინვალიდთა

სასადილო

ოჯახური სადილი 2 კერძი=45 კაპ.
შრომის ინვალიდთათვის=30 კაპ. } 2—5 საათამდე.

მთელი დღე უკრავს მუსიკა. ღვინო ყველა ფირმების ფასი 60 კ.—1 მ. ბოთლი. ვღებულობთ ყოველგვარ შეკვეთებს როგორც სადილის, ისე ვახშმისას დაკლებულ ფასებში.

ბ. № 563—8—1

---

10 შაბათი

გაიხსნება ახალი კინო-თეატრი აისი
სახ. კონსერვატორიის დარბაზში
იქნება ნაჩვენები საქართველოს [illegible] კომისარ. სურათი

„ქარიშხალის წინ“

კინო-მოთხრობა 8 ნაწ.

დადგმა კოტე მარჯანიშვილის
სცენარი შ. დადიანის
ოპერატორი შტეგელმანი

მუსიკა დაწერილია სპეციალურ კომისიის მიერ კომპოზიტორი დ. არაყიშვილის მეთაურობით
სიმფონიური ორკესტრი 22 კაცისაგან.
მონაწილეობას იღებს 800 კაცი.

ბ. 578 2—1 დირექცია.

ეპისკ. ქრისტეფორეს უკანონო მოქმედებისა გამო

თბილ. რელიგიურ საზოგადოებათა წარმომადგენელთა საოლქო კრების დადგენილება 1925 წ. იანვრის ორს

კრების თავმჯდომარედ იყო **თედო სახოკია**

კრებას დაესწრნენ: დეკანოზი ი. მარიამშვილი (საკათალიკოსო საბჭოს წევრი), დეკ. ლაზარიშვილი, დეკ. ანტ. თოთიბაძე, დეკ. გურგენიძე, დეკ. გარსიაშვილი, მღ. ელ საბუდაშვილი, მღ. ფარესიშვილი, დეკ. ნათაძე, დეკ. ფხალაძე, ივ. რატიშვილი, (საკათალიკოსო საბჭოს წევრი), დეკ. მაჭარაშვილი (მთავარი ხუცესი), დეკ. ასათიანი, თედო სახოკია, ნინო ჯაიანისა, მთ. კლურაძე, ანნა გაწერელია, ნ. უგრელიძე, თებრონ ხორავა და მრავალი სხვანი თბილისის ოლქის საეკლესიო საბჭოთა წარმომადგენელნი.

დაადგინეს: ეპ. ქრისტეფორემ თვითნებობით მიითვისა მოსაყდრის სახელწოდება.

ეპ. ქრისტეფორემ უკანონოდ კოოპტაციით მოწვეულ წევრთაგან შეადგინა საკათალიკოსო საბჭო.

ეპ. ქრისტეფორეს მიერ უკანონოდ მოწვეულმა საკათალიკოსო საბჭოს წევრებმა წინააღმდეგ საეკლესიო კრების დადგენილებისა მისცეს ეპ. ქრისტეფორეს მიტროპოლიტობა.

ყველა ამის გამო **უნდობლობა გამოეცხადოს ეპ. ქრისტეფორეს,**

არ დაემორჩილონ მის განკარგულებათა და არც მოიხსენიონ.

ეთხოვოს საკათალიკოსო საბჭოს დაუყოვნებლივ დაითხოვონ კოოპტაციით მოწვეულნი პირნი საბჭოდან და კანონიერი წევრებით შეავსონ საბჭო.

პირველ შესაძლებლობისთანავე მოწვეულ იქნას საეკლესიო კრება

ხელს აწერენ ცხრამეტი დეკანოზი და სამრევლო საბჭოების წარმომადგენლები.

კრების თავმჯდომარე **თ. სახოკია.**

1925 წ., იანვრის 2 დღესა.

P. S. ცხადდება სახელმძღვანელოდ: ქართლ-კახეთის ეპარქიას განაგებს იქნება ეპისკოპოსი პავლე.— საკათალიკოსო საბჭოს უთავმჯდომარეობს [illegible] მღვდელმთავარი; [illegible] უნდა სწირონ ეპისკ. პავლემ. **პრეზიდიუმი.** 2—2.

ვყიდი შესანიშნავ ახალ, უმაღლეს მარკის საკონცერტო

პიანინოს

დუშეთის ქუჩა № 12 ლომთაძე 10—12 და 4—7 საათამდე. 25 3—1

გამოცდილი

გერმანელი ქალი

ამზადებს

3—6 წლამდის ბავშვებს გერმანულ ენაზე საბავშვო სახლებისათვის და აძლევს ამავე ენაზე გაკვეთილებს მოზრდილებსაც.

მისამართი ნიკოლოზის ქ. № 73
22 3—1 ბინა ცინციძისა.

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 33

პოლონ[illegible] და გადასახლებულების სრულიად საკავშირო საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილება აცნობებს საზოგადოების წევრებს, რომ კვირას, 11 იანვარს, დილის 10 საათზე, საზოგადოების ბინაზე (ლენინის ქუჩა № 29)

დანიშნულია საერთო კრება

15. 1—1 საზოგადოების ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

ქალ. თბილისის მე-9 რაიონის სახალხო სასამართლოს სასამართლო აღმასრულებელი

ამით აცხადებს, რომ მის მიერ გაყიდული იქნება ერთ

საჯარო ვაჭრობაზე

შემდეგი ნივთები: 1) დავით ეპიტაშვილის ქონება, მის ბინაზე სინოდის ქ. № 4, რომელიც შეიცავს ბუფეტის შკაფს, კამოდს, ხალიჩებს, სურათებს და სხვა, რაც შეფასებულია 121 მან. 50 კაპ., საჯარო ვაჭრობა მოხდება 10 იანვარს, დღის 12 საათზე; 2) აბრამ ლუკინის და ნინო ონიკის (ქმარის გვარით ლუკინა) ქონება, მათ ბინაზე პლეხანოვის პრ. № 67, რომელიც შეიცავს ბუფეტის შკაფს, კამოდს, პიანინოს, საწერ მაგიდას, ნოხს და სხვა. რაც შეფასებულია 263 მან., საჯარო გაყიდვა მოხდება 12 იანვარს, დღის 12 საათზე.

სასამართლოს დადგენილების აღმასრულებელი **პოტეჰკოვსკი.**

1—1 ბ. 579.

ხუთშაბათს, 8 იანვარს
ჯონ სინგ
„გმირი“
შაბათს, 10 იანვარს
გრ. რობაქიძე
„მალშტრემ“
ბ. № 585 5—1

ოთხშაბათს, 7 იანვარს
ქართული წარმოდგენა
„იმედის დაღუპვა“
ხუთშაბათს, 8 იანვარს
„დემონი“
რუსულ ენაზე
პარასკევს, 9 იანვარს
პირველად **„წინასწარმეტყველი“**
ბ. № 584 4—1

თბილისის აღმასრულებელი კომ. პრეზიდიუმის

სავალდებულო დადგენილება № 8.

1924 წელი, დეკემბრის 27 ქ. თბილისი.

ქალ. თბილისში და მის მაზრაში მდებარე სახელმწიფო, პარტიულ, პროფესიონალურ, საზოგადო და კერძო მფლობელობაში ქონებულ ბეჭვდითი წარმოებების, წიგნების მაღაზიების და საწყობების, წიგნთსაცავ-სამკითხველოების და გასართობ სანახაობათა აღრიცხვის მიზნით,—თბილისის აღმასრულებელი კომ. პრეზიდიუმი ადგენს:

§ 1. ქალ. თბილისში და მის მაზრაში დღეს არსებულ **ბეჭვდითი წარმოებათა:** ა) სტამბები, ბ) ლიტოგრაფიები, გ) ლითონოგრაფია, დ) ასოთ-ჩამომსხმელი ქარხნები, ე) ცინკოგრაფია, ვ) რუქათა გამომცემლობა, ი) ბეჭდებისა და შტამპების დამმზადებელი სახელოსნოები, ზ) მინაზე მხატვრობა, კ) სახელოსნოები, რომლებიც ამზადებენ სხვადასხვა სიმბოლიურ ნიშნებს და სხვა ამ გვარ წარმოებათა გამგენი ან მფლობელნი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში (ლადო დუმბაძის ქ. № 7) მათ გამგეობაში ან მფლობელობაში ქონებულ ზემოაღნიშნულ წარმოებათა აღსარიცხავად ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

§ 2. ქალაქ თბილისში და მის მაზრაში დღეს არსებული: ა) წიგნთსაცავ-სამკითხველოების, ბ) ბიბლიოთეკების, გ) წიგნების საწყობებისა და დ) წიგნების მაღაზიების გამგენი ან მფლობელნი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ იქვე მათ გამგეობაში ან მფლობელობაში ქონებულ აქ აღნიშნულ წარმოებათა აღსარიცხავად ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში.

§ 3. ქალაქ თბილისში და მის მაზრაში დღეს არსებულ **გასართობ-სანახაობათა**—ა) თეატრების (აკადემიურ თეატრების გამოკლებით), ბ) კლუბების გ) ცირკების, დ) კინო-თეატრების, ე) კინო-მრეწველობის ბიუროების, ვ) კინო-ლენტების გამქირავებელი კანტორების, ი) ყველა სახის ხელოვნების სტუდიების, ზ) სახალხო სახლების, კ) კაბარეებისა და სხვა ასეთთა გამგენი ან მფლობელნი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ იქვე მათი გამგებლობაში ან მფლობელობაში ქონებულ ზემოაღნიშნულ წარმოებათა აღსარიცხავად ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებიდან სამი კვირის განმავლობაში.

§ 4. ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ყველა ახალად დაარსებული დაწესებულებანი, აღნიშნული 1,2 და 3 §§-ში, ვალდებულნი არიან გატარებულ იქნენ რეგისტრაციაში თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების მიერ ორი კვირის ვადაში.

§ 5. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი პირები დაისჯებიან თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრატიული განყოფილების გამგის ადმინისტრატიული ხელისუფლებით იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ორ თვემდე ან ჯარიმით ას მანეთამდე.

§ 6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **სუხიშვილი.**
ადმინისტრატიულ განყ. გამგე **ხმალაძე.**
ბ. 577 1—1 მდივანი ცქიტიშვილი.

ფოტოგრაფი გეგეშიძე

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს
აგრეთვე ადიდებს სურათებს ხელმისაწვდომ ფასებში
პლეხანოვის პრ. № 80 ბ. 398 5—5.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებით იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—5

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23
2746 13—6

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—7

ექიმი

კ. რ. ვართანოვი

სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს. **მისამართი:** სურამის ქ. № 9. კუთხე ბადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

25—18

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).
25—22

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსი

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. კვირა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
№ 2969 25—1

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
3083 25—17

კერძო გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

თერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორიული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13 ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.
ნის 372—100—18

დავკარგე პარტ. ბილეთი № 489116 ჩაითვალოს გაუქმებულად. კომპარტიის წევრი თამარა ცქიტიშვილი. 1—1

დავკარგე ტარასი არსენის ძე კაციტაძემ (მცხოვრები სოფელი ხვავაში) პირადობის მოწმობა, მოცემული რაჭის მაზრის ამბროლაურის რაიონიდან ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე სუფსის რაიონული გლეხკომის ბეჭედი. 11 დეკემბრიდან სუფსის რაიონულ გლეხკომის ბეჭედ დასმულ მოწმობებს და საბუთებს გაუქმებულად ვაცხადებ.

სუფსის რაიონული გლეხკომის თავმჯდომარე ნ. ურუშაძე. 1—1

დავკარგე ალექსი მალსაგოვის სახელზე მოწმობა მიცემული სიღნაღის სამხედრო ექიმისგან, პარტიული ბილეთი და მოწმობა გროზნის სამხედრო სამართველოდან სამხედრო ნამსახურის შესახებ ჩაითვ. გაუქმებულად. 1-1

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 1427 სიმონ ალ[illegible]ძის სახელზე, ჩაითვ. გაუქმებულად. 1-1